140
1968.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

6
1968



# პიონერი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნორჩი ტალანტების ზეიმი

საგაზაფხულო არდადეგებზე ჩვენს დედაქალაქში გაიმართა საქართველოს მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების VI რესპუბლიკური ოლიმპიადა. ჩვენი სამშობლოს ყოველი კუთხიდან ხელოვნების უამრავი ნორჩი ოსტატი ეწვია თბილისს. მათი ხალისიანი სიმღერით აგუგუნებულ დარბაზებში მაყურებელთა ტევა არ იყო...

სცენაზე ერთმანეთს ტოლს არ უდ-



მღერის ცისანა დარჩია (ფოთი).

მღერიან და-ძმა სიჭინავები (ჩხოროწყუ).

პიონერი
6 · ივნისი · 1968
გამოსვლის XXXII წელი.

10.663

ებდნენ მუსიკოს-შემსრულებლები, საგუნდო და ქორეოგრაფიული, თეატრალური კოლექტივები, ინდივიდუალური გამომსვლელები. მათ თავიანთი ლამაზი ხელოვნებით მაყურებელი მოხიბლეს, ოლიმპიადა მოსწავლეთა ზეიმად გადაიქცა!

საუკეთესო შემსრულებლები დაჯილდოვდნენ ზოგი ოქროს, ზოგი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით.

ოქროს მედლები მოიპოვეს: ბათუმის მე-8 საშუალო სკოლა-ინტერნატის მიერ წარმოდგენილმა ოპერამ „მამაცი წიწილები“, (მუსიკა ნ. თავბერიძისა); თბილისის 41-ე საშ. სკოლის მიერ წარმოდგენილმა ოპერამ „ციცქნა ია დღეობა“ (კომპოზიტორი მ. რობიტაშვილი); ჭიათურის მე-3 სკოლის მოსწავლეთა მიერ დადგმულმა ოპერეტამ „სამი გოჭუნია“ (მუსიკა ზ. ცაბაძისა); თბილისის 43-ე საშ. სკოლის თოჯინების თეატრმა („აურზაური არაფრისათვის“). მუსიკოს-შემსრულებლებმა: მარინე მახვილაძემ, დავით გორგოშაძემ, კარინე ნაზაროვამ, ოთარ მაღრაძემ, ვალერი პოლოსოვმა (თბილისი); სოხუმელებმა: რუსუდან წულაიამ, ალექსანდრე ბაკშმა, მომღერალმა ლალი ქირიამ. ქუთაისელმა მოსწავლეებმა: ქეთევან სინაურიძემ, ნუგეშა ჩახვაშვილმა, მზია ბიბილეიშვილმა. თბილისის 66-ე საშ. სკოლის საესტრადო და 74-ე საშ. სკოლის სასულე ორკესტრებმა.

განსაკუთრებული მოწონება ხვდათ წილად თბილისის 39-ე და 62-ე საშ. სკოლების ქორეოგრაფიულ კოლექტივებს, რომელთა თითოეული წევრი დაჯილდოვდა ოქროს მედლით. ოქროს მედალოსნები გახდნენ აჭარის მომღერალთა და მოცეკვავეთა კოლექტივები. ფოთის მე-6 საშ. სკოლის ქორეოგრაფიული კოლექტივი კომპოზიციისათვის „მიჯაჭვული ამირანი“.

ვერცხლის მედალი დაიმსახურა: სოფელ შუხუთის საშ. სკოლის მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილმა ოპერეტამ: „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“ (კომპოზიტორი შ. ჯოჯუა), თბილისის 44-ე სკოლის მუსიკალურ-ლიტერატურულმა კომპოზიციამ „გრენადა“, მახარაძის პიონერთა სახლის სპექტაკლმა „ნაცარქექიამ“, ონის მე-2 საშ. სკოლის მოსწავლეთა სპექტაკლმა—„ეკიპაჟი კისკისა“, გურჯაანის პიონერთა სახლის სპექტაკლმა „გუშინ შვიდნი გურჯაანელნი“, სოხუმის მე-5 საშ. სკოლის მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილმა სპექტაკლმა „ნიშნების საუბარი“, თბილისის მე-10 საშ. სკოლის სპექტაკლმა „გიქორ“, „ნანა ტყეში“ (სამების რვაწლიანი სკოლა), „გულადი ღიღველა“ (ტყიბულის პიონერთა სახლი), „მამლაყინწას თავგადასავალი“) (სოფელ მატანის საშ. სკოლა). ჩხოროწყუს საშ. სკოლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა.

ბრინჯაოს მედალი მიაკუთვნეს სპექტაკლებს: „პირველი მაისი“, (ახმეტის პიონერთა სახლი, მუსიკა შ. თაქთაქიშვილისა), „დაუპატიჟებელი სტუმრები“ (თბილისის 61-ე საშ. სკოლა, მუსიკა ა. ბუკიასი), „ყვავილების აჯანყება“ (ცაგერის საშ. სკოლა, კომპოზიტორი შ. თაქთაქიშვილი), „თეთრა“ (ხაშურის რკინიგზის მე-4 საშ. სკოლა). „ფიფქა“ (ბათუმის პიონერთა სახლი), „ოქტომბრის შვილები“ (თელავის საშ. სკოლა). კომპოზიციებმა: „ქართლის დედა“ (ქარელის პიონერთა კლუბი), „თათარობა“ (68-ე საშ. სკოლა) და სხვა.

მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების მეექვსე რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მონაწილე კოლექტივებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა სულ მოიპოვეს: 150 ოქროს, 200 ვერცხლის და 250 ბრინჯაოს მედალი.

მაყურებელს დიდი სიამოვნება მიანიჭეს აფხაზურმა კოლორიტულმა სიმღერებმა, ოსურმა ცეკვებმა, ლანჩხუთის, ზუგდიდის, ჩოხატაურის, ზესტაფონის, მახარაძის, გორის და სხვა ქალაქების მოსწავლეთა ოსტატურმა ხელოვნებამ. ამ ოლიმპიადამ ერთხელ კიდევ ნათელჰყო ჩვენი მოსწავლე-პიონერების შემოქმედებლებმა სულ მოიპოვეს 300-მდე ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედალი.





მქუხარე ტაშმა თვალებში ცეცხლი აუნთო ზუგდიდელ მოცეკვავეებს.

სცენა ოპერიდან „ციცქნა ია დღეობა“ (თბილისის 41-ე სკოლა. კომპოზიტორი ლ. რობიტაშვილი).

ეროვნული ბიბლიოთეკა





სოხუმელი ნორჩი მომღერალი, ოლიმპიადის ოქროს მედალოსანი ლ. ქირია





ლიტერატურულ-დრამატული კომპოზიცია „ქართლის დედა“. დედის როლის შემსრულებელი თინათინ შავდათუაშვილი დაჯილდოვდა ვერცხლის მედლით. (ქარელის 1-ლი საშ. სკოლა).

სცენა სპექტაკლიდან „ეკიპაჟი კისკისა“ (ონის მე-2 საშ. სკოლა).

ცეკვა „სალაღობო“ ასრულებენ ასმათ ჟალიჩავა და თამარ როდონაია.

ხორუმი — ცეკვა ვაჟკაცთა, ცეკვა მამაცთა... (ქობულეთის მე-2 საშ. სკოლა).



ეროვნული ბიბლიოთეკა

1918 1968 ლენინური კომკავშირი

# საქართველოს კომკავშირი აღდგენის პერიოდში

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ საქართველოს კომკავშირის წინაშე ბრძოლისა და შრომის ახალი ასპარეზი გადაიშალა, კომკავშირი გამოვიდა იატაკქვეშეთიდან და პარტიის ხელმძღვანელობით შეუდგა მუშაობას.

საქართველოს კომკავშირის წინაშე დადგა ამოცანა — გაეშალა ბრძოლა დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც შედგებოდა იატაკქვეშ მომუშავე ძველი კომკავშირელების ერთი ნაწილისაგან (ცენტრალური კომიტეტის მდივანი იყო ალექსანდრე ამირბეგოვი), ვერ შესძლო მუშაობის გარდაქმნა ცხოვრების ახალი ამოცანების შესაბამისად. 1921 წლის 20 აპრილს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია გაფართოებული პლენუმი, რომელმაც გამოიმუშავა კომკავშირის სამოქმედო გეგმა და აირჩია ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა ბორის ძნელაძის მეთაურობით.

ახლადარჩეულ ცენტრალურ კომიტეტში შეიქმნა ხუთი განყოფილება. მაზრებში ჩამოყალიბდა საორგანიზაციო ბიუროები და დაინიშნა პასუხისმგებელი მდივნები. მოეწყო კომკავშირული მუშაობისათვის კადრის მომამზადებელი კურსები, რომელმაც თვენახევრის განმავლობაში მოამზადა 54 მუშაკი.

კომკავშირმა ახალგაზრდობის მატერიალური და კულტურული პირობების გასაუმჯობესებლად დიდი ღონისძიებები გაატარა და აიღო ვალდებულება აქტიური მონაწილეობა მიეღო სახალხო მეურნეობის აღდგენაში.

25 აპრილს სურამის რაიონის კომკავშირელთა კრების გადაწყვეტილებით ახალგაზრდები აქტიურად ჩაებნენ თესვის კომპანიაში. 20 აპრილს გორის მაზრის კომკავშირული ორგანიზაციის საერთო კრებამ შემდეგი შინაარსის რეზოლუცია გამოიტანა: „ჩვენ მზად ვართ ჩვენი რეალური ძალებით ყოველთვის დავუჭიროთ მხარი საბჭოთა ხელისუფლებას და ბოლო მოვუღოთ ქვეყნის სამეურნეო ნგრევას. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში, გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას".

ასეთი რეზოლუციები მიიღო საქართველოს ყველა მხარის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, კომკავშირმა საბჭოთა მთავრობას ერთგულება და საქმისათვის თავდადება გამოუცხადა.

რესპუბლიკის კომკავშირის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო IX (I ლეგალური) ყრილობა, რომელიც 1921 წლის 20 აგვისტოს გაიხსნა. ყრილობამ 8 საკითხი განიხილა.

ვრცელი სიტყვით გამოვიდა სერგო ორჯონიკიძე. ყრილობამ კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე დააყენა ოთხი ძირითადი ამოცანა: 1. მუშაობის გაშლა სამეურნეო ფრონტზე, მენშევიკების მიერ დანგრეული მეურნეობის აღდგენა-განვითარებისათვის; 2. ბრძოლა ნაციონალიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ, მათი გავლენის აღმოფხვრისათვის ამიერკავკასიის მშრომელ მასებში და ამიერკავკასიის გაერთიანებისათვის; 3. მარქსისტულ-პოლიტიკური აღზრდა, რომელიც მთლიანად უნდა დაეკავშირებინათ პრაქტიკულ მუშაობასთან, და 4. პრაქტიკული მონაწილეობა სასურსათო გადასახადის გატარებაში.



საქართველოს კომკავშირი ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებას შეუდგა.

ამ პერიოდში, გვალვებისა და მოუსავლიანობის გამო, ვოლგის მხარის 11 გუბერნიაში, დიდი შიმშილობა იყო. ქართველმა კომკავშირლებმა წარმატებით ჩაატარეს ვოლგის მხრის მშრომელების დახმარების კომპანია. ახალგაზრდებმა შეაგროვეს სურსათ-სანოვაგე. ვოლგისპირეთის მშრომელებს გაეგზავნათ ათობით მილიონი მანეთი ფული და ასობით მილიონი მანეთის სხვადასხვა პროდუქტი და საქონელი.

1921 წლის დამლევსა და 1922 წლის დასაწყისში საქართველოში მოეწყო საბჭოების არჩევნები. არჩევნების მიმდინარეობის პერიოდში კომკავშირელები აწყობენ მიტინგებს, უფასო კონცერტებს, გამოდიან მოხსენებებით ამომრჩეველთა წინაშე. საგულისხმოა, რომ დეპუტატობის კანდიდატთა შორის ბევრი კომკავშირელი იყო. მარტო სიღნაღის რაიონის საბჭოებში დეპუტატად აირჩიეს 94 კომკავშირელი.

იმ წლებში დიდი როლი შეასრულა კომკავშირულმა უჯრედებმა სოფლად. ისინი წარმოადგენდნენ საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენს და აქტიურად ეხმარებოდნენ პარტიას ღარიბი გლეხობის დარაზმვაში, საშუალო გლეხობასთან კავშირის განმტკიცებაში, სასურსათო გადასახადის გატარებაში, კულაკურ საბოტაჟთან ბრძოლაში. მოკლე ხანში მათ ჩაატარეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი: გლეხთა დახმარებისა და წითელი მეთაურის, ბავშვთა და წითელარმიელთა ოჯახებისადმი დახმარების კვირეული და სხვა. კომკავშირ-

ლები სისტემატურად აწყობდნენ შაბათობებს გზებისა და არხების გასაყვანად, სკოლებისა და ქოხ-სამკითხველოების მოსაწყობად.

კომკავშირი აქტიურად მონაწილეობდა წითელი არმიის ჩამოყალიბება-განმტკიცების საქმეში. 1922 წელს წითელი არმიის სამხედრო-პოლიტკურ კურსებზე გაიგზავნა ბევრი ახალგაზრდა კომუნისტი და კომკავშირელი. მათ შორის იყვნენ იატაკქვეშელი კომკავშირელი მუშაკები: ვალერიან (ჭიჭიკო) იმედაძე, ბარნაბ ადამაძე, ვიქტორ კაჭარავა, გრიგოლ გაბისონია, ვასო გოძიაშვილი.

1922 წლის 20 თებერვალს წითელი არმიის მეთაურთა ქართული სკოლის პოლიტკომისრად ინიშნება ბორის ძნელაძე.

წითელარმიელი კომკავშირელები თავდადებულ ბრძოლას აწარმოებდნენ ბანდიტების წინააღმდეგ. მათთან ბრძოლაში დაჰკარგა ფეხი პოლიტხელმა, ძველმა იატაკქვეშელმა, კომკავშირელმა ვიქტორ კაჭარავამ, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა დაიმსახურა საქართველოში მთავრობის მაღალი ჯილდო — წითელი დროშის ორდენი.

1921 წლიდან — 1925 წლამდე საქართველოს კომკავშირის ხუთი ყრილობა ჩატარდა. ამ ყრილობების მუშაობას წარმართავდნენ და ახალგაზრდობას ახალი ამოცანების შესასრულებლად რაზმავდნენ ჩვენი პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები: სერგო ორჯონიკიძე, მამია ორახელაშვილი, ფილიპე მახარაძე, სერგეი კიროვი და სხვები.

საქართველოს კომკავშირმა დიდი მუშაობა ჩაატარა წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციისათვის, პირველ რიგში კომკავშირელთა შორის. 1922 წლისათვის, საქართველოში, 3.500-მდე კომკავშირელი წერაკითხვის უცოდინარი იყო. კომკავშირელთა თაოსნობით ბევრ სოფელში გაიხსნა სკოლა, წერა-კითხვის უცოდინარ ახალგაზრდებს მიამაგრეს აქტივისტები. ერთი წლის მუშაობის შემდეგ წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი კომკავშირში 67 პროცენტით შემცირდა. ყველაფერმა ამან შესაძლებელი გახადა კომკავშირულ ორგანიზაციებს შეექმნათ კომკავშირული პოლიტწრეები.

1923 წლის დეკემბერში საქართველოში შეიქმნა ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო, რის შემდეგ ფიზკულტურული მუშაობა ორგანიზებულად წარიმართა; გაუქმდა სპორტული საზოგადოება „შევარდენი", რომლის წევრები შოვინიზმისა და ნაციონალიზმის სულისკვეთებით იზრდებოდნენ, მის ნაცვლად შეიქმნა სპორტული საზოგადოება „სპარტაკი".

ამ პერიოდის ქართველ კომკავშირელთა საქმიანობის ერთ-ერთი ნათელი ფურცელია საშეფო მუშაობა. ეს მუშაობა 1922 წლის დამლევს დაიწყო, როცა კომკავშირის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტმა შეფობა აიღო კასპიის ფლოტზე. 1-7 თებერვალს მოეწყო ფლოტის დახმარების კვირეული. ამ დღეებში კომკავშირლები სამუშაო საათების მერე, დამატებით მუშაობდნენ 2 საათს. გამომუშავებული თანხა მიდიოდა ფლოტის სასარგებლოდ. ახალგაზრდობა აწყობდა კონცერტებს, საღამოებს, აგროვებდა თანხებს და უგზავნიდა კასპიის ფლოტს. გარდა ამისა, ბევრმა კომკავშირელმა და კავშირგარეშე ახალგაზრდამ სურვილი გამოთქვა მოხალისედ წასულიყო სამხედრო საზღვაო ფლოტში. მარტო თბილისის ორგანიზაციაში, გასაგზავნ კონტიგენტზე 8-ჯერ მეტი მსურველი აღმოჩნდა.

წარმატებით დაგვირგვინდა წითელ არმიაში გაწვევაც. 1924 წლის 1 თებერვლისათვის წითელი არმიის რიგებში 2 ათასამდე ქართველი კომკავშირელი იყო.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ საქართველოს კომკავშირმა მოაგვარა პრესის გამოცემის საკითხიც. 1922 წლის იანვრიდან ქართულ და რუსულ ენაზე გამოვიდა ცენტრალური და თბილისის კომიტეტების ორგანო გაზეთი „სპარტაკი". ეს გაზეთი მალე „იუნოშესკაია პრავდა"-დ გადაკეთდა.

ამ გაზეთების ფურცლებზე ფართოდ შუქდება კომკავშირული ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. მაგალითად, 1923 წლის 5 მაისს „სპარტაკმა" მთელი გვერდი დაუთმო ცნობას კომკავშირული უჯრედების კონკურსის შესახებ. გაზეთი იუწყებოდა, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების, თბილისისა და ბორჯომის დეპოების კომკავშირელთა ძალებით შეკეთდა რამდენიმე ორთქლმავალი. ცნობასთან ერთვოდა შეკეთებულ ორთქლმავალთან გადაღებული კომკავშირლების სურათი. აქვე დაბეჭდილი იყო იმ უჯრედების სია, რომლებიც მონაწილეობდნენ კონკურსში.

გაზეთების ფურცლებზე მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა თეორიულ ბრძოლას „ახალგაზრდა მარქსისტების" წინააღმდეგ. „ახალგაზრდა მარქსისტების" ორგანიზაცია, როგორც მენშევიკების ბატონობის წლებში, ისე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც წარმოადგენდა ახალგაზრდობის მენშევიკურ ორგანიზაციას, რომელიც საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო და იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. კომკავშირული ორგანიზაციების ენერგიული მუშაობის შედეგად 1923 წლის ბოლოს „ახალგაზრდა მარქსისტთა" ყრილობამ თავისი ორგანიზაცია დაშლილად გამოაცხადა... ორგანიზაცია ერთდროულად ხუთი ათასმა კაცმა მიატოვა. მალე დაიშალა ახალგაზრდობის სხვა წვრილბურჟუაზიული ორგანიზაციებიც.

საქართველოს კომკავშირის საქმიანობა ამ პერიოდში ფართო და მრავალფეროვანია: საშეფო მუშაობა, ანტირელიგიური პროპაგანდა, ბრძოლა ანტიპარტიულ დაჯგუფებებთან და მენშევიკური ავანტიურის წინააღმდეგ. აქტიური მონაწილეობა რევოლუციური კანონიერების განხორციელებაში, სასოფლო საბჭოების მუშაობის გაძლიერება, კოოპერაციის განმტკიცება და მრავალი სხვა ღონისძიება რასაც ბოლშევიკური თავგანწირვითა და სიმტკიცით ატარებდნენ ქართველი კომკავშირელები აღდგენით პერიოდში.

ა. იმედაშვილი





ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლო ჭაბაჭაძე

# გულთაზი, მოდელი და მეგობრები

მხატვარი რევაზ ცუცქირიძე



მოთხრობა

## გალა უსტას სახელოსნოში

გულთაზი ფიცარს ხერხავდა. კედლის გასწვრივ გამართულ დაზგაზე ხელოსანი აშალაშინებდა. ხელოსანი მაღალი, მხრებში ოდნავ მოხრილი კაცი იყო, სათვალე ეკეთა. მას გალა უსტას ეძახდნენ, ყველა ასე იცნობდა.

სახელოსნო ვიწრო და გრძელი იყო. შუქი ქუჩაში გამავალი ერთადერთი სარკმლიდან შემოდიოდა. როგორც კი ზღურბლს გადმოაბიჯებდით, ცხვირში ლაქისა და ხის წებოს სუნი გეცემოდათ. სახელოსნოს ბოლოში სამი მზა კარადა იდგა. ერთი წელან წაიღეს სადღაც. ბიჭს არ მოსწონდა ეს კარადები.

— ხერხი სწორად არ გიჭირავს! — მიუახლოვდა მას გალა უსტა, ხერხი გამოართვა, მოიმარჯვა და ფიცარი ჩახერხა.

გულთაზს ერთი სული ჰქონდა როდის მოშორდებოდა აქაურობას. ხმა არ ამოუღია. მორჩილად მიაჩერდა; ხელოსანი იმას მოითხოვდა, რაც თავისი სიცოცხლის მანძილზე თვითონ ესწავლა.

— როდის უნდა დაამთავრო შენი მოდელი? — იკითხა გალა უსტამ და ხერხი დაუბრუნა.

გულთაზმა ფიცარი გადაზომა, მერე გონიოთი გადახაზა და ჩაილაპარაკა:

— ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა, გაზაფხულამდე უნდა დავამთავრო, გამოფენა მაისში იხსნება.

— მარტო ერთისთვის ძნელია! მარტო არაფერ საქმეს არ უნდა შეება, ბიძია. მარტო კაცი ჭამაშიაც ცოდვაა! — თქვა გალა უსტამ. — ამხანაგები უნდა დაიხმარო.

გულთაზს ამხანაგები გაახსენდა. ახლა ისინი ალბათ ჭალაში ბურთს დასდევენ, ან, შეიძლება, ცხენებს აჭენებენ. ავთო და ბონდო ცხენის გიჟები არიან. შეარჩევენ ბუჩქნარში ვიწრო გასასვლელს, დააგებენ თოკის მარყუჟს, გამოდენიან ცხენებს... რომელიმე მათგანი მარყუჟში აუცილებლად გაებმება. ბონდო სწრაფად შეიხსნის ქამარს, ცხენს ლაგმად ამოსდებს, მოახტება და... მერე ავთო აჭენებს. სანამ კარგად არ გაიხვითქება ცხენი და ქანცი არ გავარდება, მანამ არ მოეშვებიან. გულთაზს ყოველთვის ეცოდებოდა ცხენები.

— რომელ კლასში ხარ, ბიძია? — იკითხა უსტამ.

— მეშვიდეში, — მიუგო გულთაზმა და გადახერხილი ფიცარი გვერდზე გადადო.

— კი მაგრამ, რის მოდელს აკეთებ, რად გინდა ამდენი ფიცრები რომ დახერხე?

— ტყიბულის მაღაროს მოდელს, ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც სინამდვილეშია: მთები, რკინიგზა, მაღაროები, მატარებელი..

— ოოო, კაი ერთი! — თქვა უსტამ და დაზგას მიუბრუნდა, თან თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა.

გულთაზმა სახელოსნო ფეხაკრეფით გაიარა და ქუჩაში გამოვიდა.

გარეთ სასიამოვნოდ გრილოდა.

## ტირში

გაკვეთილების შემდეგ გულთაზი სკოლის ტექნიკურ სადგურში დარჩა. უკვე ერთი კვირაა, უსტას სახელოსნოდან აქ მოდელი გადმოიტანა. გულთაზი მუშაობაში გაერთო.

უეცრად ოთახში ამხანაგები შემოცვივდნენ.

— როდის მოასწარი ამხელა ყუთის შეკვრა? — იკითხა ზაზამ.

— რად გინდა?! — გაიკვირვა რეზომ.

— სულ უნდა იმუშაო? — დიდი კაცივით ჩაილაპარაკა იევერმა და სარჩილავი შეაერთა.

— მოდი, მოგეხმარები, — ჩაცუცქდა ზაზა.

გულთაზს არ ესიამოვნა ამხანაგების მოსვლა. იცოდა, ან რამეს წაახდენდნენ, ან კიდევ, გააცდენდნენ. თუმცა

ისიც იცოდა, რომ მალე წავიდოდნენ — აქ ყოფნას ბურთის ან ცხენების დევნას ამჯობინებდნენ.

— ესენი რისთვის გინდა? — იკითხა ირამ და ლითონის ქილიდან პატარა ჯოხები ამოიღო.

— შპალებია, ლიანდაგი უნდა დავაგო.

— დედას გეფიცები, არაფერი გამოუვა! — ჩაილაპარაკა რეზომ.

— რატომ? — გაუკვირდა ზაზას.

— ვიცი არაფერი გამოუვა, — გაიმეორა რეზომ დაბეჯითებით და დასძინა, — აი, ნახავთ!

გულთაზს ეწყინა, შეტრიალდა და ელექტროსარჩილავი გამოთიშა.

— რატომ გამოთიშე? — იყვირა ივერმა და ხელი სარჩილავს წაატანა.

— რად გინდა? — გაუკვირდა გულთაზს.

— რელსებს გადავაბამ ერთმანეთზე.

— არ უნდა, ჯერ არ ვაბამ!

— არა, მე მინდა გადავაბა!

— შეეშვი, რომ გეუბნებიან! — დაუყვირა ზაზამ.

ივერმა სარჩილავს ხელი გაუშვა და ჩაილაპარაკა:

— ტყუილად მოვედით აქ? რაღაც ხომ უნდა გავაკეთოთ?

— რის გამკეთებელი ხარ! — გაიცინა ირამ.

— სჯობს პარკში წავიდეთ. ტირი გაუხსნიათ! — თქვა რეზომ.

— ჰო, მართლა, წავიდეთ! — შეჰყვირა ივერმა.

— შენც წამოდი, — უთხრა ზაზამ გულთაზს. — არ გაინტერესებს? მიზანში ვისროლოთ!

გულთაზს არ უნდოდა წასვლა, მაგრამ ძალიან დაინტერესდა. ტირი მარტო კინოში ენახა, ძალიან მოსწონდა: გაისროდნენ თოფს და... მამალი ფრთებს შეაფრთქიალებდა, კისერს წაიგრძელებდა, ან კიდევ — საჰაერო წისქვილის ბორბალი დატრიალდებოდა.

— წამოხვალ? — ჰკითხა ოთახში დარჩენილმა ირამ, დანარჩენები უკვე ეზოში გარბოდნენ.

გულთაზმა სწრაფად ჩაკეტა კარი და ამხანაგებს გამოუდგა.

პარკი გადაირბინეს და ტირს მიადგნენ. ტირიდან სიცილი ისმოდა. შევიდნენ. იქ ავთო და ბონდო დახვდათ.

— კარგად ისვრი? — ჰკითხა გულთაზმა მოაჯირზე მიყრდნობილ ბონდოს.

— ისე რა. გინდა გავეჯიბროთ? ვინც წააგებს, იმან გადაიხადოს.

გულთაზი ჩაფიქრდა და თავი გააქნია: ტირში არასდროს მისვრიაო.

— ეე, — არ მოეწონა ბონდოს, — მაშ შენ მოდი! — მიმართა ახლა ირას, — შენ ხომ სნაიპერი ხარ, მოდი.

ირა მოაჯირს მიუახლოვდა.

— თოფები მოგვეცი! — მიუბრუნდა ბონდო მეტირეს.

მეტირე იაშა ომის ინვალიდი იყო, მარჯვენა ხელი იდაყვის ქვემოთ ჰქონდა მოკვეთილი, ხოლო მარცხენაზე ორად-ორი სალი თითილა შერჩენოდა. იაშა კოჭლობით მივიდა თოფებთან. ჯერ ერთი აიღო და მარჯვენა იღლიაში ამოიდო, მერე მორეც აიღო და ორივე თოფი დახლზე დააწყო. გულთაზმა ვერც წისქვილს, ვერც მამალს, საერთოდ, ვერცერთ მოძრავ საგანს ვერ მოჰკრა თვალი. მხოლოდ კედელზე მიჭედებული, სასროლი ფუნჯებისაგან დაჩხვლეტილი ქაღალდის შავწრეებიანი რამდენიმე სამიზნე დაინახა. იაშამ თოფის კონდახი იღლიაში ამოიდო, მარცხენა ხელით ლულა გადაკეცა და ფუნჯი ჩადო. გატენილი თოფი ირას გაუწოდა. ბონდომ თვითონ გატენა თავისი თოფი.

ხუთჯერ გაისროლეს. ირამ ფული გადაიხადა. ბონდომ თავი ამაყად ასწია. კიდევ ხომ არავინ ისურვებსო, იკითხა.

გულთაზი მიუახლოვდა მოაჯირზე დადებულ თოფს. მას ბევრჯერ უსვრია ბაბუასეული „ბერდანკით“, მაგრამ პნევმატურ თოფს პირველად ხედავდა.

ბონდომ ირონიულად ჩაიცინა, თოფი ისევ იაშამ გატენა. დაუმიზნეს. პირველად ბონდოს თოფი გავარდა. ფუნჯი ათიანში ჩაერჭო, გულთაზისა კი თეთრ ზოლში მოხვდა.

მეორედ გულთაზმა ოდნავ გვერდით დაუმიზნა, მაგრამ ახლა ფუნჯი მეორე მხარეს, კვლავ თეთრ ზოლში ჩაერჭო.

ამხანაგები ხარხარებდნენ, წაგებული ირაც იცინოდა. გულთაზმა ფული გადაიხადა.

— სროლა არ იცით! — ჩაილაპარაკა ამხანაგების თვალში ერთიორად გაზრდილმა ბონდომ. — ხშირად უნდა იაროთ და ისწავლოთ!

— ახლა ჭალაში წავიდეთ, ფეხბურთი ვითამაშოთ! — თქვა ავთომ.

იაშამ თოფები აალაგა.· ბიჭები გარეთ გამოვიდნენ. გულთაზმა ფეხი აითრია, მეგობრებს ჩამორჩა, მერე შებრუნდა და ისევ ტირს მიაშურა.

იაშა მარტო იჯდა, ქლიბით ფუნჯებს წვერს ულესავდა.

— რა გინდა? — თავი ასწია წუთით.

გულთაზი ქაღალდის შავწრეებიან სამიზნეებს გასცქეროდა. მერე ხმადაბლა, გაუბედავად დაიწყო:

— ბიძია, აქ ასეთი სამიზნეები რომ იყოს, მაგალითად, საჰაერო წისქვილი... ესვრი: თუ მიზანში მოარტყამ, ბორბალი დატრიალდება... ან, მოარტყამ მიზანში და, ორი ჯიხვი ერთმანეთს დაეძგერება.

— მერე? — იკითხა იაშამ და ბიჭს მიაჩერდა.

— ან მამალი... — დაიწყო ბიჭმა.

— მერე, სად არის ეს ყველაფერი?

— სად? მე გავაკეთებ.

— შენ?! — დაპრაწა თვალები მეტირემ, — იცი რა გითხრა... აი, იმ კარს ხომ ხედავ, მოუსვი აქედან... — დაიწყო წყნარად იაშამ და მერე უცბათ იფეთქა, ფეხზე წამოხტა, თანდათან ყვირილს უმატა.

გულთაზი დაიბნა, შეშინებული კარისკენ გაიქცა.

— აქ შემოსული არ გნახო! შენისთანა ცინგლიანი ბევრი მინახავს! — იქნევდა დასახიჩრებულ ხელებს იაშა და გაჰყვიროდა.

ტირში სამხედრო ფორმაში გამოწყობილი კაცი შემოვიდა.

— რა იყო, რა მოხდა? — ჰკითხა მან იაშას.

— ჩემი გამაიმუნება სცადა! ესვრი — ბორბალი დატრიალდება, ესვრი — ჯიხვები ერთმანეთს დაეძგერებიანო...

— ასე იყო? — მიუბრუნდა სამხედრო ფორმიანი ფერწასულ ბავშვს.

გულთაზი იცნობდა მას, შაქრო ერქვა, პენსიონერი იყო, მაგრამ სამხედრო ფორმას მაინც არ იშორებდა.

— ბიძია, — დაიწყო ათრთოლებული ხმით გულთაზმა, — ვუთხარი, ასეთი სამიზნეების გაკეთება შემიძლია-მეთქი.

— მერე მაგისთვის კი არა, ჩემთვის უნდა გეთქვა. არაუშავს, დაწყნარდი! — შაქრო გაბუსუნებულ იაშას მიუტრიალდა: — ასე არვარგა! პირიქით, ახალგაზრდები უნდა მოვიზიდოთ. აბა, მოუტანე თოფი ამ პატარა პარტიზანს!

იაშა თოფებისაკენ წაბრახუნდა. ერთ მათგანს დასწვდა.

— ეგ რომელია? — გასძახა შაქრომ, — არა, მეორე მოიტანე! ხომ გითხარი, ეგ თოფი არ ვარგა, საწყობში გაიტანე-მეთქი!

იაშამ რაღაც ჩაიბურდღუნა, თოფი უკანვე დადო, ახლა მეორე აიღო და მოაჯირს მიუახლოვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, ესროლე, ბიძია, ვნახოთ როგორ უმიზნებ.

გულთაზმა უხალისოდ ჩამოართვა გატენილი თოფი და დაუმიზნა, მერე სასხლეტი ოდნავ მოზიდა. გაისმა გასროლის ხმა და ფუნჯი სამიზნის შავ წრეში ჩაერჭო. გულთაზს სიხარულისაგან თვალები აუციმციმდა; თოფს დახედა, შეათვალიერა — ეს ის თოფი იყო, წეღან ბონდოს რომ ეჭირა.

## მოხუცი მენავე

მოტორების შოვნა გაჭირდა. მრავალჩამჩიანი ექსკავატორისათვის დიდი მოტორის შოვნა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ელმავლისათვის პატარა მოტორზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. გულთაზს სხვა საფიქრებელიც გაუჩნდა: ტირისათვის მოძრავ სამიზნეს აკეთებდა. ფირფიცრისაგან ორი, ტყუპებივით ერთმანეთის მსგავსი ჯიხვი გამოჭრა. ახლა სასხლეტის გაკეთებაზე ფიქრობდა. მიზანში საფანტის მოხვედრისას სასხლეტი უნდა გამოშლილიყო, რომ ჯიხვები ერთმანეთს რქებით დასძგერებოდნენ. რამდენიმე ვარიანტი გააკეთა, მაგრამ არცერთი არ მოსწონდა: ზოგისა მომართვა იყო ძნელი, განსაკუთრებით, ცალხელა იაშასათვის, ზოგი კი ადვილად არ სხლტებოდა. დაღვრემილი გულთაზი ახლაც ჯიხვებს დაჰყურებდა. მოულოდნელად დერეფანში ფეხის ხმა გაისმა. გულთაზმა ჯიხვები სასწრაფოდ მაგიდის უჯრაში ჩაყარა.

ზაზა შემოვიდა. გულთაზს ხმა არ გაუცია. ამხანაგი მიუახლოვდა, და მის გვერდით ჩაიჩოქა.

— მოგეხმარები. ვიცოდი აქ იქნებოდი და მოვედი.

— რაში უნდა მომეხმარო? ვეღარაფერს ვაკეთებ! — თქვა გულთაზმა და ფეხზე წამოდგა.

— რატომ? — გაუკვირდა ზაზას და მოდელს გადახედა.

— მოტორები ვერ ვიშოვნე.

— როგორი მოტორები?! — პატარა ხომ არა, აი, ამხელა? — ზაზამ თითებით სამი-ოთხი სანტიმეტრი მოზომა.

— ჰო, დაახლოებით.

— სწორედ ასეთი მოტორი ჰქონდა ბონდოს. ერთ ნაცნობ შოფერს აჩუქა, ჩართავდი აკუმულატორზე და სულ ბზრიალ-ბზრიალი გაჰქონდა!

გულთაზს თვალები გაუფართოვდა.

—იქნებ კიდევ იშოვნოს, — დაიმედა ზაზამ და ფეხზე წამოდგა, — წყალგალმა ავტოქარხანა ხომ იცი? — იქ, მდინარის პირას, უტილია, ძველი, დამტვრეული მანქანები ყრია. მათ მოაძრო.

— იქ ვინ მიგიშვებს?

— არავინ არ დგას. რამდენჯერ ვყოფილვარ იქ, ქანჩებს, ჭანჭიკებს ვაძრობდით იმ შოფრისათვის. გინდა წავიდეთ?

გულთაზი შეყოყმანდა.

— წავიდეთ, წავიდეთ! ბიჭები ჭალაში იქნებიან, ბონდოც მოგვეხმარება, — ზაზა უკვე კართან მივიდა. — მოდიხარ?!



...მდინარის პირას დიდ მინდორს კაკლის ხეების ჭალა და ეკალბარდით დახლართული თხმელნარი ერტყა. აქ ბიჭები ბურთს თამაშობდნენ. თამაში რომ დაამთავრეს, ზაზა ბონდოსთან მივიდა. ბონდოს ხვითქი გადასდიოდა.

— გახსოვს, პატარა მოტორი რომ გქონდა? — ჰკითხა ზაზამ.

— მერე? — გაკვირვებული ბონდო გულთაზს მიაჩერდა.

— ისეთი მოტორი უნდა გვაშოვნინო, — უთხრა ზაზამ. მოდელისათვის გვინდა.

ბონდო დაიხარა, ჭრელი პერანგი აიღო. მხარზე გადაიკიდა და მდინარისაკენ აუჩქარებლად წავიდა.

— გვაშოვნინებ?!

— იქ თუ გავედი და ვიპოვნე, რაღა თქვენ მოგცეთ, თვითონ დამჭირდება. — კაცი ყოველდღე მეხვეწება, მომიტანეო.

— იმას ხომ მიეცი?!

— მერე რა, — ბონდომ გზა განაგრძო, ჩაფიქრდა, უცბად შეჩერდა და თქვა, — წავიდეთ, ოღონდ, ვინც იპოვნის, იმისი იყოს!

რიყეს გაჰყვნენ, მერე ბუჩქნარი გადაჭრეს და ბილიკზე გავიდნენ.

— ფული გაქვთ? — იკითხა ბონდომ.

— არა, რად გვინდა? — გაუკვირდა ზაზას.

— აბა, გაღმა როგორ გავიდეთ? მენავეს ფული უნდა, ხიდი კი აქედან შორს არის.

მდინარის პირას მენავის ჯიხური იდგა, მდინარეზე ნავი ქანაობდა, იგი გარდიგარდმო გაჭიმულ ბაგირზე იყო გამობმული.

— მენავესთან მივალ და ვთხოვ, — თქვა გულთაზმა.

— მერე, შენ გგონია, ჩაგსვამს და გაგიყვანს? — გაიცინა ბონდომ. — ვიცი მაგის ხასიათი...

— მაინც ვთხოვოთ!

—კარგი, მიდი. ჩვენ აქ დაგელოდებით.

ბონდო და ზაზა ბუჩქნარში გადავიდნენ და ჯირკზე ჩამოსხდნენ. გულთაზი ჯიხურს მიუახლოვდა. მენავე ზღურბლზე იჯდა და ყალიონს აბოლებდა. თავი ასწია და ბიჭს მიაჩერდა. თეთრი წვერულვაში ჰქონდა, მაგრამ თამბაქოს ბოლით ისე გაყვითლებოდა, შეღებილი გეგონებოდათ.

— ბაბუა, — დაიწყო გაუბედავად გულთაზმა, — ფული არა გვაქვს, გაღმა გასვლა გვინდა...

— დაიკარგე აქედან! — არ დააცალა მენავემ და ჯოხს წამოავლო ხელი.

გულთაზმა მოკურცხლა. მოხუცი ერთხანს რაღაცას ყვიროდა, მერე ნავს გახედა.

ბონდო და ზაზა სიცილით იგუდებოდნენ.

— რა გაცინებთ?! — იწყინა გულთაზმა.

— სასაცილო იყო, მა რა, დამფრთხალ მელასავით რომ გამორბოდი! — იცინოდა ზაზა.

— მასთან ტკბილი საუბარი არ გადის, — დაასკვნა ბონდომ. — მე ვიცი, რაც უნდა ვქნათ! თქვენ აქ იყავით, სანამ ხელს არ დაგიქნევთ, არ წამოხვიდეთ.

მენავემ ერთხანს იბორიალა, მერე ჯიხურში შევიდა. ბონდო ჯიხურთან ხოხვით მივიდა, კარი სწრაფად მოხურა და რაზა გადასწია. მერე გზაზე გამოვიდა და ამხანაგებს ხელი დაუქნია. ისინიც საფრიდან გამოვიდნენ. ჯიხურში ჩამწყვდეული მენავე კარზე აბრახუნებდა, ყვიროდა...

გულთაზს შეეცოდა მენავე, მაგრამ დრო აღარ იცდიდა, შეიძლება ვინმეს მოესწრო. ამხანაგები უკვე ნავში ისხდნენ და ისიც ჩახტა. ბონდო ნიჩბებს დააწვა. მალე მეორე ნაპირზე იყვნენ, ნავი რიყეში ჩასობილ პალოს გამოაბეს.

ერთხანს ბილიკს მიჰყვებოდნენ, მალე ტრიალ მინდორზე გავიდნენ. შორს, ვერცხლისფრად ბრწყინავდნენ ჩამწკრივებული მანქანები. გულთაზს ხშირად უთვალთვალნია მათთვის.

ბიჭებმა შარაგზა გადაჭრეს და ხუთიოდე წუთში უტილთან გაჩნდნენ. აქ უწესრიგოდ ეყარა მანქანების ნაწილები, ძველი მანქანები, ათასგვარი ჯართი... ბონდო შინაურივით დატრიალდა. მანქანის მოტორზე აცოცდა და კაბინაში ჩაძვრა, თან ამხანაგებს გადმოსძახა:

— თქვენც ეძებეთ, დრო ცოტა გვაქვს.

გულთაზმა ბრტყელტუჩა მოიმარჯვა, ქანჩების და ჭანჭიკების ამოძრობას შეუდგა. მალე ჯიბე გამოიტენა, პატარა მოტორს კი ვერსად წააწყდა. ზაზაც გაფაციცებული დაძვრებოდა, მაგრამ მოტორს ვერც ის პოულობდა.

— მოდით აქ! — დაიყვირა ბონდომ და კაბინიდან თავი ამოყო, — ვიპოვნე!

ვერტიკალურ ტიხარსა და კორპუსს შორის მოტორი იყო მიმაგრებული. მას მავთულები უერთდებოდა. ბონდოს რკინის ბერკეტი ტიხარში ჩაეყო და ეჯაჯგურებოდა.

— დაიცა, ჭანჭიკებს მოვაძრობ, — უთხრა გულთაზმა და ბრტყელტუჩა მოიმარჯვა.

ბონდომ მიუშვა. გულთაზმა ჭანჭიკები მოხსნა, მაგრამ მოტორის მოძრობა არ მოხერხდა. მაშინ ბონდომ ბერკეტით გადმოსწია ტიხარი. მოტორი მოსძვრა და ქვევით ჩავარდა. გულთაზმა ხელი ტიხარის ჭრილში ჩაყო.

— ბიჭებო! — იყვირა ზაზამ, — მენავე და ორი კაცი მოდიან, თავს ვუშველოთ!

ბონდომ ბერკეტს ხელი უშვა და ტიხარი თავის ადგილს დაუბრუნდა. გულთაზმა სიმწრისაგან დაიკვნესა.

— თითები, თითები! გადასწიე ისევ! — უყვირა მან გასაქცევად მომზადებულ ამხანაგს.

ბონდო მობრუნდა, ბერკეტი გადასწია და გულთაზს ხელის ამოღებაში მიეშველა. მერე მოტორი გამოართვა, ორივენი კაბინიდან ჩახტნენ და მინდორზე გაცვივდნენ.

— აგერ არიან, აგერ! — მოესმათ მოხუცი მენავის ხმა.

დიდხანს მიშლიგინობდნენ დატაროებულ სიმინდის ყანაში. ხიდი გადაირბინეს და ჭალას შეაფარეს თავი. ბოლოს შეჩერდნენ, სული მოითქვეს. გულთაზს თითები გაახსენდა, დაიხედა: შუა და საჩვენებელი თითების ფრჩხილები ჩაშავებოდა, სული შეუბერა.

— ძაან არ ვირბინეთ! — თქვა ზაზამ.

გულთაზმა ერთხანს თითებს სული უბერა, მერე ბონდოს მიუბრუნდა:

— მოტორი ხომ წამოიღე?

— აგერ მაქვს, — ბონდომ ჯიბეზე დაირტყა ხელი.

— მაჩვენე.

— რატომ უნდა გაჩვენო?

— როგორ, მოტორი ხომ ჩემი არის!

— მე ხომ ვთქვი, ვინც იპოვნის, იმისი იყოს-მეთქი.

— ეგ უსამართლობაა! — ჩაერია ზაზა.

— რატომ, მე არ ვიპოვნე?!

— მერე, მე ხომ მოვაძრე?! — თქვა გულთაზმა და თითებზე დაიხედა.

— ვინ გეხვეწებოდა! — მიუგო ბონდომ აგდებულად და ბილიკს გაჰყვა.

— თუ ასეა, — ისევ ჩაერია ზაზა, — გულთაზი სანაცვლოდ რამეს ჩამოვა.

— რას?

გულთაზი ჩაფიქრდა, მერე შესძახა:

— ჩემს წითელ ბურთს!

ბონდომ გაიცინა:

— კარგად შეინახე, არსად დაგეკარგოს!

ერთხანს უხმოდ მიდიოდნენ. მინდორზე რომ გავიდნენ, ბონდო შეჩერდა და ხმადაბლა დაიწყო:

— ფული მჭირდება ძალიან, რაღაც მაქვს საყიდელი.

— ფული?! — აღმოხდა გულთაზს! — რამდენი?

ბონდომ ხუთი თითი გაშალა...

## სიბელი

გულთაზმა სასხლეტი მომართა და ჯიხვებს წინა ფეხები დაუმაგრა. მერე ჯოხი აიღო, სამიზნეს უსწორა... „ნუთუ ამაზე მაგრად არ მოხვდება საფანტი?“ სასხლეტი არ გამოიშალა. მაშინ უფრო ძლიერ ჰკრა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯოხი. გაისმა ზამბარის ტკაცანი და ჯიხვები ერთმანეთს რქებით დაეჯახნენ.

მოულოდნელად კარი გაიღო, ოთახში ზაზა და ირა შემოცვივდნენ.

— რა არის ეს? — იკითხა გაკვირვებულმა ირამ და სამიზნეს დააშტერდა.

— რად გინდა, მოდელზე უნდა დასდგა? — დაინტერესდა ზაზა.

— არა, — მიუგო გულთაზმა და სასხლეტი მომართა, — აბა, აქ, ცენტრში, ჯოხი ჰკარი!

ზაზამ ჰკრა ჯოხი და... ტკაცანი გაისმა, ჯიხვები ერთმანეთს დაეძგერნენ.

— ვაჰ, შენი გულისა! — შესძახა ირამ.

— ახლა კი უნდა შევღებო, — თქვა გულთაზმა. — მერე ტირში წავიღო.

— ტირში? რატომ?—იკითხა ზაზამ. თან ჯიხვებს გულდასმით აკვირდებოდა. ბოლოს, აღტაცებულმა იყვირა: — მივხვდი, მივხვდი! თუ თოფს მიზანში მოარტყამ, ჯიხვები ერთმანეთს დაეძგერებიან. ხომ ასეა?!

გულთაზმა თავი დაუქნია, მერე ადგა და კარადიდან საღებავები გამოიღო.

— მოდი, მე შეგიღებავ! — ირამ სამიზნეს ხელი წაატანა.

— მიეცი, კარგად შეგიღებავს, ეგ ხომ ჩვენი მხატვარია, — თქვა ზაზამ.

გულთაზს არაფერი უთქვამს. ტუბს ხელი მოუჭირა, საღებავი მინაზე გადმოიღვარა, ზედ ცოტაოდენი ზეთი დაასხა და ფუნჯი მოიმარჯვა.

აღარც ირას ამოუღია ხმა, იჯდა და ხელებში მისჩერებოდა. გულთაზმა ჯიხვები თეთრად შეღება, რქები კი — ყავისფრად. თვალებიც მიუხატა. მერე სამიზნე ფრთხილად აიღო და კარადაში შეინახა.

— რატომ შეინახე?! — გაუკვირდა ზაზას. — წავიღოთ!

— უნდა გაშრეს.

— არაუშავს, წავიღოთ! ფრთხილად მოვმართავთ. არ გაინტერესებს?

გულთაზს თვითონაც ძალიან უნდოდა, ტირში მალე მიეტანა: თოფით გამოცდა სულ სხვა იყო.

— წავიღოთ, არაუშავს რა, თუ საღებავი მოშორდა, მერეც შევღებავთ.

ბიჭებმა დალმართი ჩამოიარეს და მთავარ ქუჩაზე გავიდნენ. მაღაზიასთან რეზოს და ივერს შეეფეთნენ.

— ეს რა მოგაქვთ?! — გაუკვირდა ივერს.

— სად მიგაქვთ. რა არის? — დაინტერესდა რეზოც.

— წამოდი და ნახავ! — მოუჭრა ირამ.

ტირში მხოლოდ იაშა დახვდათ. იგი იდაყვებით დაყრდნობოდა მოაჯირს და თვლემდა. ბავშვების გამოჩენისას თავი ასწია, რაღაც უნოდა ეთქვა, მაგრამ ხმა არ ამოუღია და ისევ თვლემა განაგრძო. უცებ ფეხზე წამოხტა.

— შაქრო ბიძია სად არის?! — ჰკითხა გულთაზმა.

— მალე უნდა მოვიდეს. რაო, სამიზნე მოიტანე?

გულთაზმა ამაყად დაუქნია თავი, ამხანაგებს გადახედა და სამიზნე მოაჯირზე დადო.

ამასობაში შაქრო ბიძიაც მოვიდა, ჯიხვებს თვალი შეავლო და ბავშვებს მიესალმა.

იაშამ მოაჯირის ძელაკი ასწია. გულთაზმა ჯიხვები ქალალდის სამიზნეების ქვევით, ფიცარს მიალურსმა. გული აჩქარებით უცემდა. ღელავდა. აკანკალებული ხელებით სასხლეტი მომართა, ჯიხვებს ფეხები დაუმაგრა და გვერდზე გადგა. შაქრო ბიძიამ თოფი გადახსნა და საფან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტი ჩადო, მერე დიდხანს უმიზნა. ბიჭებიც მოაჯირს მიაწყდნენ.

— დედას გეფიცები, არაფერი გამოვა, — გადაუჩურჩულა რეზომ ირას. — მაგნაირი სამიზნეები ქუთაისში ვნახე, ქარხანაში დამზადებული!

— მერე რა, ჩვენ უკვე გამოვცადეთ! — მიუგო ირამ.

თოფი გავარდა, საფანტი სამიზნის ცენტრს მოხვდა, ჯიხვები მხოლოდ შეტოკდნენ.

გაკვირვებულმა შაქრომ გულთაზს შეხედა.

— ხომ გითხარი, — გაიხარა რეზომ, — არაფერი გამოვა-მეთქი!

გულთაზი ჯიხვებს მიუახლოვდა, სასხლეტ მოწყობილობას დახედა. ზამბარასა და სამიზნეს შორის სალებავი ჩაღვენთილიყო. თითით ამოწმინდა და სასხლეტი ისევ მომართა.

შაქრო ბიძიამ ისევ გატენა თოფი და დაუმიზნა. თოფის გავარდნა და ჯიხვების დაძგერება ერთი იყო.

— კარგია! — თქვა შაქრო ბიძიამ.

— როგორი იყო?! — შესძახა ირამ.

— ეს ალალბედზე! — ჩაილაპარაკა რეზომ.

— კიდევ ესროლეთ, შაქრო ბიძია! — სთხოვა ზაზამ.

— ახლა თქვენ, — მიუგო მან და იაშას მიუბრუნდა, — მიეცი ამ პარტიზანებს ხუთ-ხუთი საფანტი.

გულთაზმა იაშას სასხლეტის მომართვა ასწავლა. ბავშვებმა ხუთ-ხუთჯერ ესროლეს. გულთაზმა ხუთიდან ერთი მოარტყა მიზანს, ასევე ირამ და ივერმაც. ზაზამ სულ ვერ მოახვედრა და გულდაწყვეტილი გვერდზე გადგა, რეზომ კი სამჯერ მოარტყა სამიზნეს და ჯიხვებიც სამჯერ დაეძგერნენ ერთმანეთს.

— ყოჩაღი პარტიზანები ყოფილხართ! — შეაქო ისინი შაქრო ბიძიამ. — ყველას მსროლელთა წრეში ჩაგწერთ. წამოდით ჩემთან!

პარკის გვერდით ორსართულიანი შენობა იდგა. ამ შენობაში „დოსააფის“ ორგანიზაცია იყო მოთავსებული, შაქრო ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე იყო.

ოთახში, საბეჭდ მანქანას ახალგაზრდა ქალი უჯდა. შაქრო ბიძია სეიფს მიუახლოვდა, ჯიბიდან გასაღებების ასხმულა ამოიღო და ლითონის კარი ჭრიალით გააღო. იქიდან საქაღალდე გამოიღო და გახსნა, მერე გულთაზს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— მარტო შენ გააკეთე?

— დიახ! — მიუგო გულთაზმა დაუფიქრებლად.

საბეჭდი მანქანა ახმაურდა.

შაქრო ბიძია საწერ მაგიდას მიუჯდა. მდივანი ბეჭდვას მორჩა, სიგელი მანქანიდან ამოიღო და შაქროს მიაწოდა. მან გადაიკითხა, ხელი მოაწერა, მერე ბეჭედი დაარტყა, ფეხზე წამოდგა და თქვა:

— „დოსააფის“ ორგანიზაცია აჯილდოებს საუკეთესო მოდელისტს. ეს მოდელისტთა წრის ჩამოყალიბების საფუძველი იქნება. ჩვენ აქ პლანერებს, გემების, თვითმფრინავების მოდელებს გავაკეთებთ... მაგრამ ამაზე შემდეგ. ახლა კი... — შაქრო ბიძია გულთაზთან მივიდა, ხელი მაგრად ჩამოართვა და სიგელი გადასცა.

— მაჩვენე! — უთხრა ქუჩაში გამოსვლისას ზაზამ.

გულთაზმა სიგელი გაუწოდა და გულდაწყვეტილმა ჩაილაპარაკა:

— ამისთვის ვიწვალე ამდენი?!

— მეტი რა გინდოდა?!

— ვიფიქრე, იმდენ ფულს მაინც მომცემენ, ბონდოსაგან მოტორს ვიყიდი-მეთქი.

## მოტორი

ისტორიის მასწავლებელი ახალ გაკვეთილს ხსნიდა მოულოდნელად კარი გაიღო. დირექტორი შემოვიდა, მას მოხუცი მენავე და კლასის დამრიგებელი შემოჰყვნენ.

დირექტორმა ფეხზე წამომდგარ მოსწავლეებს ანიშნა დასხედითო და მასწავლებელს მიმართა:

— რამდენიმე წუთით გაგაცდენთ. — მერე მოხუც მენავეს მიუბრუნდა: — თუ არც ამ კლასში არიან, მაშინ ჩვენი სკოლის მოსწავლეები არ ყოფილან!

მოხუცმა გატრუნულ მოსწავლეებს თვალი მოავლო. ბოლოს მზერა გულთაზზე შეაჩერა.

— აი, ეს იყო!

— ეს?! — გაუკვირდა დირექტორს. — ადექი!

გულთაზი წამოდგა და თავი დახარა. მის გვერდით მჯდარ ქეთოს გაეცინა, იფიქრა მოხუცი შეცდაო.

— ეს იყო ნამდვილად, დანარჩენი ორი ბიჭის სახე, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, არ დამინახავს, ეს კი... მოვიდა, ჯერ ნავი მთხოვა, ფული არა მაქვსო..

— მართალია? — ჰკითხა დირექტორმა გულთაზს.

გულთაზმა თავი დაუქნია.

დირექტორი ერთხანს დუმდა, მერე იკითხა: — ვინ იყვნენ შენთან ერთად?

გულთაზმა თავი ასწია და ჯიუტად მიაჩერდა.

— თქვი, — დაიწყო დამრიგებელმა, — მე ხომ ვიცი, შენ ამის ჩამდენი არა ხარ, ვინ იყვნენ.

გულთაზს ხმა არ გაუცია, თავი ჩაღუნა.

— ერთს, — დაიწყო მოხუცმა, — ჭრელი ხალათი ეცვა, აი ასეთი, — და მან ბონდოზე მიუთითა.

— ეს კი მართალი უნდა იყოს, — თქვა დირექტორმა და ბონდოს უბრძანა: — ადექი ფეხზე! შენ იყავი?

— არა, პატივცემულო დირექტორო, — წამოდგა ბონდო ზლაზვნით.

— ერთი ბონდო იქნებოდა, მეორე კი — ავთო, — დასძინა დამრიგებელმა.

— არა, პატივცემულო მასწ... მე არსად არ ვყოფილვარ! რატომ გგონიათ, რომ ყველაფერს მე ვაფუჭებ? — წამოხტა ავთო. — ეგენი მოტორების საძებრად უტილში რომ დარბოდნენ, რა ჩემი საქმეა!

— სად?! — გაუკვირდა დირექტორს.

— უტილში, — ჩაილაპარაკა ავთომ.

ბონდომ შეუბღვირა. ზაზა ეკლებზე იჯდა, უნდოდა წამომდგარიყო და ეთქვა, გულთაზთან ერთად მეც ვიყავიო, მაგრამ დირექტორისა ეშინოდა.

— რა გინდოდათ უტილში? — იკითხა დირექტორმა.

— მოტორი, — მიუგო გულთაზმა.

— რა მოტორი, რისთვის?

—ალბათ მოდელისათვის, — ჩაილაპარაკა დამრიგებელმა.

— ასე არვარგა, — მიუბრუნდა დირექტორი მას. — თუ წრე ჩამოვაყალიბეთ, უნდა მივხედოთ კიდეც, თორემ ასე რომ ირბინონ ბავშვებმა, არ ივარგებს! შენ კი, — მიუახლოვდა იგი გულთაზს, — გაკვეთილი დატოვე და ხვალ მშობელი მოიყვანე.

გულთაზს ცრემლები მოერია, ჩანთა აიღო და ოთახიდან გავიდა.

დასასრული მომდევნო ნომერში

მე-18 საუკუნის დასაწყისიდან ქანდაკება, ისევე როგორც რუსული ხელოვნების სხვა დარგები, სულ სხვა, ახლებურ ხასიათს იღებს და მხოლოდ საეკლესიო მიზნების სამსახურით არ განისაზღვრება; საერო ნაგებობათა მშენებლობის დიდმა განვითარებამ სულ სხვა როლი მიანიჭა ქანდაკებას. შენდება ახალი დედაქალაქი პეტერბურგში (ახლანდელი ლენინგრადი), მრავალრიცხოვანი სასახლეებით, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებითა და პარკებით, მათი არქიტექტურის შესამკობად ხშირად იყენებენ ქანდაკებას, როგორც ფასადების, ისე შიდა სივრცის (ინტერიერების) გასაფორმებლად. ამით აძლიერებდნენ სასახლეთა ოქროთი მოვარაყებულ დარბაზების საზეიმო შთაბეჭდილებას.

მწვანე ბუჩქებსა და ხეებს შორის აღმართული მარმარილოს და ბრინჯაოს ქანდაკებები მეტ მომხიბლაობას და სილამაზესანიჭებდნენ პარკებს.

პეტერგოფის პარკის განთქმული შადრევნების გაფორევროპიდან იწვევენ არქიტექტორებს, მხატვრებს, მოქანდაკეებს. იწყება ადგილობრივი კადრების მომზადება. ნიჭიერ ახალგაზრდებს საზღვარგარეთ გზავნიან სასწავლებლად.

ზოგიერთი რუსეთში ჩამოსული ოსტატი, რამდენიმე წლის მერე ისევ დაბრუნდა სამშობლოში, მაგრამ ზოგიერთი კი, სამუდამოდ დარჩა და დიდი წვლილი შეიტანა რუსული ხელოვნების განვითარებაში.

ასეთი იყო ნიჭიერი ოსტატი კ. რასტრელი. იგი მუშაობდა ქანდაკების სხვადასხვა სახეობაში, მაგრამ სახელი გაითქვა როგორც პორტრეტული ქანდაკების ოსტატმა.

რასტრელის ერთ-ერთ საუკეთესო ნამუშევართაგანია პეტრე I პორტრეტი (ბრინჯაო). ამ ძლიერი და ღრმა მოაზროვნე მეფის სახე მხატვრების დიდ ყურადღებას იქცევდა. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მხატვარი თავისებურად ხატავდა, ამ დიდი პიროვნების სახეს. რასტრელი მას ასახავს, როგორც დიდ სახელმწიფოებრივ მოღვაწეს.


ანელი ვოლსკაია,
ხელოვნებათმცოდნეობის
მეცნიერების კანდიდატი.


# XVIII–XIX საუკუნის რუსული ქანდაკება




მებაში დიდი ადგილი უჭირავს ქანდაკებას, რომელიც ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს პეტერგოფის მნახველს.

ქანდაკება ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგები, უფრო და უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა ადამიანის ყოფას, რამაც მოითხოვა სკულპტურული ნაწარმოებების სიუხვე, რუსეთში კი ჯერ კიდევ არ იყო საკმარისი ოსტატები და ხელოსნები.

ამიტომ, პეტრე პირველის ბრძანებით რუსეთი ისყიდიდა ანტიკური (ძველი ბერძნული და რომაული) სკულპტურის ნიმუშებს.

იგი დიდი ოსტატობით გადმოგვცემს პეტრე პირველის პორტრეტულ მსგავსებას, შინაგან ხასიათს, მახვილ გონებას, ხასიათის სიმტკიცეს, ვაჟკაცობას. ამ შთაბეჭდილებას მოქანდაკე აღწევს ძერწვის მანერით, რომლითაც იქმნება მტკიცე, ნათელი ფორმები.

ოსტატი მშვიდ სახეს ფიგურის მოუსვენარ სილუეტს უპირისპირებს. ასეთი დაპირისპირება იმ დროის ნამუშევრებისათვის საერთოდ დამახასიათებელია. პეტრე პირველის თითქოს ქარით გაფრიალებულ ტანისამოსში მინიშნებულია მისი მოუსვენარი ხასიათი...

მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთში უკვე მოღვაწეობს ნიჭიერი ახალგაზრდა რუსი ოსტატების მთელი ჯგუფი, მათ დაოსტატებაში დიდი როლი შეასრულა პეტერბურგში დაარსებულმა სამხატვრო აკადემიამ.

აღნიშნულ ხანაში უპირატესობა ენიჭებოდა დეკორაციულ ქანდაკებას, რომელმაც დიდი ადგილი დაიკავა შენობათა ფასადების გაფორმებაში. როგორც სვეტები და სხვა არქიტექტურული დეტალები, ქანდაკებაც ორგანულად ერწყმოდა ნაგებობას.

ფასადების შესამკობად უმთავრესად მრგვალ ქანდაკებას იყენებდნენ, მშვენიერ ღმერთების გამოსახულებებს, ალეგორიულ ფიგურებს და, აგრეთვე, რელიეფებს, რომლებზეც ბრძოლის სცენები იყო გამოსახული.

ამასთან ერთად, ვითარდება სკულპტურული პორტრეტი. უმაღლეს საზოგადოებაში მიღებული იყო პორტრეტების შეკვეთა.

ამ ეპოქაში შექმნილ პორტრეტებს დღესაც არ დაუკარგავს ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობა. პორტრეტულ ჟანრში თითქმის ყველა იმდროინდელი გან-

თქმული რუსი მოქანდაკე მუშაობდა. მათ შორის გამოირჩევა მოქანდაკე ფ. შუბინი.

ფ. შუბინი წარმოშობით უბრალო გლეხი იყო, არხანგელსკის ოლქიდან. ეს მხარე განთქმული იყო ხალხური შემოქმედებით, — ძვალზე ჭრით. ბავშვობაში შუბინიც გატაცებული იყო ამ ხელოვნებით.

შუბინმა მარმარილოს ბიუსტებით. თანამედროვეთა პორტრეტების მთელი გალერეა შექმნა. მათ შორის მეფეთა, დიდებულთა, მეცნიერთა და სხვათა პორტრეტები.



ოპეკუშინი. ა. ს. პუშკინის ძეგლი.

შუბინისთვის მთავარი იყო ადამიანის სახე, ამაზე ამახვილებდა ყურადღებას.

გარდა პორტრეტული მსგავსებისა, ფ. შუბინს ადამიანის შინაგანი ბუნების, ხასიათის გამოსახვის ძალაც შესწევდა. ყოველი მისი პორტრეტი სიმართლის გრძნობით არის აღბეჭდილი. აი, ტიპობრივი არისტოკრატის, მომღიმარე ფილოსოფოსის სახე — ეს თავადი გოლიცინია, სარდალ ჩერნიშოვს კი აქანდაკებს უბრალო სახით, მაგრამ ჭკვიანური და ვაჟკაცური იერით. მოქანდაკე განგებ არ ალამაზებს სახეს. პავლე I გამოაქანდაკა ისეთივე ულამაზო, როგორიც იგი სინამდვილეში იყო. შუბინის ხელში მარმარილო ცოცხლდება.

რუსეთის კულტურის ისტორიაში დიდი მოვლენა იყო პეტერბურგისათვის პეტრე პირველის ძეგლის შექმნა. ამ ძეგლის ავტორი სახელმოხვეჭილი ფრანგი მოქანდაკე ე. ფალკონე იყო. ამ ძეგლის შექმნაზე მან თორმეტი წელიწადი იმუშავა.

პეტრე პირველის ძეგლი იმ დროის ერთერთი საუკეთესო ქანდაკებაა. იგი მარტო რუსეთისა კი არა, მსოფლიო ხელოვნების სიამაყეა.

პეტრე პირველი გამოსახულია ცხენზე მჯდომი, ცხენი თითქოს მართლაც მიჰქრისო ისეა წარმოდგენილი. მეფეს ხელი გამარჯვების ნიშნად წინა აქვს გამოწვდილი. მოქანდაკემ უბრალო პოსტამენტის ნაცვლად თავისუფლად დამუშავებული გრანიტის უზარმაზარი ლოდი გამოიყენა, რაც იმ დროისათვის ახალი, გაბედული ნაბიჯი იყო. მეფის ჟესტიკულაცია, ცხენის სწრაფი მოძრაობის მიმართულება შეესაბამება ლოდის გამოწეულ ნაწილს, რაც მთლიანობაში ჰქმნის სიძლიერის შთაბეჭდილებას.

ძეგლი ყოველი მხრიდან დასრულებულია.

მე-18 საუკუნის რუსეთის მოქანდაკეები, ისევე როგორც ევროპელები, თავისი იდეალების ხორცშესხმის მიზნით ძველ ბერძნულ და რომაულ ხელოვნებას მიმართავდნენ, რაც დაკავშირებული იყო ახალი, პროგრესული იდეების ჩასახვასთან. ჩნდება იდიალური სამართლიანი სახელმწიფოს შექმნის აზრი, რომლის წევრი ახალი თავისუფალი ადამიანი იქნება. ხელოვნებაში ამ პერიოდს კლასიციზმის პერიოდს უწოდებენ. მხატვრები მიმართავენ ძველ მითოლოგიურ სიუჟეტებს, ასახავენ ბრძენ და მშვიდ ღმერთებს, ცდილობენ მათი გამოსახულებები ნათელი და მკაფიო პლასტიკური ფორმებით გადმოგვცენ, ჰბაძავენ ბერძენ მხატვრებს, რისთვისაც საგანგებოდ სწავლობენ ანტიკურ ძეგლებს.

ქანდაკებაში უმეტესად ლამაზ და პროპორციულად აგებულ შიშველ სხეულს ასახავდნენ. თუ ფიგურა შემოსილი იყო, უპირატესობა გრძელ, მდიდრულად დრაპირებულ ანტიკურ სამოსელს ეძლეოდა. რეალურ ისტორიულ პიროვნებებს ხშირად გრძელ, ნაოჭებიან ტანისამოსში, ძველი ანტიკური ღმერთების სახით აქანდაკებდნენ.

ამ მიმართულების ბრწყინვალე წარმომადგენელია მოქანდაკე მ. კოზლოვსკი. მის მრავალრიცხოვან ნაწარმოებთა შორის საუკეთესოა „სამსონი“ და დიდი რუსი სარდალის — სუვოროვის ძეგლი.

სამსონი წარმოდგენილია ლომთან ბრძოლაში, რაც სიმბოლურად ასახავს რუსეთის შვედებზე გამარჯვებას. სამსონის ფიგურა ალსავსეა ფიზიკური ძალით, რაც მისი დაჭიმული კუნთებითა და შინაგანი დაძაბულობით გამოიხატება. ეს სკულპტურული ჯგუფი, რომელიც აშკობს მთავარ შადრევანს პეტერგოფის პარკში, ყველაზე მეტ-



კლოდტი. ანიჩკოვის ხიდის სკულპტურული ჯგუფი. ფრაგმენტი.

ყველი ძეგლია იმდროინდელ დეკორაციულ ქანდაკებაში.

სუვოროვის ძეგლი აღმართულია ე. წ. მარსის ველის მახლობლად (ლენინგრადში). სარდალი გამოსახულია მარსის (ომის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში) სახით ძველი დროის საომარი სამოსით — ჯავშნითა და მუზარადით. ოდნავ აწეული თავი. მტკიცე ნაბიჯი. ზემოთ აღმართული ხელი, რომლითაც მას ხმალი უჭირავს ფიგურას გაბედულებისა და სიმამაცის ძალას ანიჭებს.

მე-19 საუკუნეში გრძელდება საერო მშენებლობა, რომელიც მთლიანად სცვლის რუსული ქალაქის სახეს. ქანდაკების ნიმუშები ქალაქს მდიდრულ, საზეიმო სახეს ანიჭებენ. ამ დროის ნაგებობათაგან აღსანიშნავია საადმირალო შენობა, ბირჟა, მთავარი შტაბი (ლენინგრადი).

მე-19 საუკუნის სკულპტურაში მჟღავნდება მისწრაფება ისტორიული ამბების ასახვისადმი; რაც რუსეთის გამარჯვებამ განაპირობა სამამულო ომში, ნაპოლეონის წინააღმდეგ.

სწორედ ამ დროს რუსმა მოქანდაკემ ი. მარტოსმა შექმნა XVI საუკუნის გმირების მინინისა და პოჟარსკის ძეგლი. ეს ძეგლი დაიდგა — მოსკოვში, კრემლის მახლობლად. სახალხო გმირი მინინი ერთი ხელით პოჟარსკის ხმალს აწვდის, მეორე ხელი კი კრემლისაკენა აქვს გაწვდილი — თითქოს ხალხს სამშობლოს დასაცავად მოუწოდებს. ორივე ფიგურა აღმართულია სადა, სწორკუთხოვან პოსტამენტზე.

ამ პატრიოტული თემის გაგრძელებად გვევლინება ნიჭიერი რუსი მოქანდაკის ბ. ორლოვსკის ორი ქანდაკება — რუსი მხედართმთავრების ბარკლაი-დე-ტოლისა და კუტუზოვის სკულპტურული გამოსახულება, რომლებიც ლენინგრადში, ყაზანის ტაძრის წინ დგას.

ეს ქანდაკებანი 1812 წლის სამამულო ომის ორ ეტაპს გამოხატავენ: პირველ ფიგურას კვერთხი ძირსა აქვს დაშვებული, რაც სიმბოლიურად გადმოსცემს რუსეთის ჯარის უკან დახევას, ხოლო მეორე ფიგურა ზემოთ აღმართული კვერთხით, რუსეთის ჯარის ნაპოლეონზე გამარჯვებას ანსახიერებს.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთში ქანდაკება დაქვეითებას განიცდიდა. ეს გარემოება იმითაც იყო გამოწვეული, რომ სახელმწიფო დიდ შეკვეთებს აღარ იძლეოდა. ამან შეზღუდა მონუმენტური პლასტიკის განვითარება. სამაგიეროდ ფეხი მოიკიდა ჟანრულმა, საყოფაცხოვრებო თემატიკამ, რამაც ხელი შეუწყო მცირე პლასტიკის განვითარებას. იმ პერიოდში მაინც შეიქმნა მონუმენტური სკულპტურის რამდენიმე საყურადღებო ნიმუში. მათ შორის გამოირჩევა პ. კლოდტის ახალგაზრდა მხედრის ქანდაკება, რომელიც ანიჩკოვის ხიდს ამკობს.

აღსანიშნავია მისი მეორე ნამუშევარიც, იგავ-არაკების ცნობილი მწერლის კრილოვის ძეგლი, რომელიც ლენინგრადის საზაფხულო ბაღში დგას. პოსტამენტზე მოთავსებული ჰორელიეფები განასახიერებენ კრილოვის იგავ-არაკებში მოქმედ ცხოველებს.

ამ პერიოდის სკულპტურას ძირითადად ახასიათებს უბრალო სიუჟეტებისადმი მისწრაფება. გახშირდა უბრალო ხალხის, გლეხის გამოსახულებანი შრომის დროს.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ყველაზე სახელოვან მოქანდაკედ ითვლება მ. ანტოკოლსკი. მან შექმნა ქანდაკება — „ივანე მრისხანე".

მხატვარი ცოცხლად, ნათლად გადმოსცემს ივანე მრისხანეს სახეს, მას, ბრძენი მმართველის იერი აქვს, ფიგურის პოზა და ჩაფიქრებული სახე გმირის სულიერ ბრძოლაზე მიგვანიშნებს.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ა. ოპეკუშინის შემოქმედება. იგი წარმოშობით უბრალო გლეხი, თვითნასწავლი მხატვარი იყო. მხოლოდ მოგვიანებით მიიღო განათლება სამხატვრო აკადემიაში. ოპეკუშინის შემოქმედებაში განსაკუთრებით საყურადღებოა სახელგანთქმული პოეტის ა. პუშკინის ძეგლი (მოსკოვში). პუშკინის ფიგურის მკაცრად აღმართულ სილუეტს, ოდნავ დახრილი თავი კომპოზიციურად დასრულებულ სახეს ანიჭებს. სადა და ლაკონური მხატვრული გადაწყვეტით მოქანდაკემ შესძლო პოეტის შთამბეჭდავი სახის და მისი ადამიანური უბრალოების გადმოცემა. ეს ნაწარმოები სამართლიანად ითვლება პუშკინის ერთერთ საუკეთესო ძეგლად.

XVIII-XIX სს. ზემოთმოხსენებული ძეგლები, რუსული კულტურის სიამაყეა და მათი ხილვა დღესაც გვანიჭებს ესთეტიკურ სიამოვნებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველანი ბუნების წევრნი

ნიკო კეცხოველი
აკადემიკოსი



ეს წერილი ძველი, კარგად ცნობილი ამბით მინდა დავიწყო.

ერთ მშვენიერ დღეს ცნობილ მეცნიერთან — ჩარლზ დარვინთან ფერმერები გამოცხადდნენ და შესჩივლეს: სამყურის თესლის მოსავალი მოგვიცდა, იქნებ გაიგო ამის მიზეზი, რომ სამერმისოდ მაინც გვეშველოს. დარვინმა ყოველივე გულდასმით გამოიკვლია, და რა გამოირკვა: ბოლო წლებში ჭირს კატები გაეწყვიტა; კატა რომ გაწყდა, თაგვი გამრავლდა, თაგვებმა მუსრი გაავლო კრაზანის ჭუპრითა და მატლით სავსე ფიჭებს; კრაზანაც გაწყდა, კრაზანა კი ყვავილის დამამტვერიანებელი, გამანაყოფიერებელია. დაუმტვერიანებლად სამყურის ყვავილი თესლს ვერ მოგვცემს.

ერთი შეხედვით თითქოს არავითარი კავშირი არა აქვს ერთმანეთთან სამყურის თესლის მოსავალსა და კატას, მაგრამ თურმე კატის არსებობა ან არარსებობა უშუალო გავლენას ახდენს სამყურის მოსავალზე.

მახსოვს, ერთხელ, ჭაბუკობის დროს, ნადირობიდან ვბრუნდებოდი; ცაში მტრედების გუნდი ნავარდობდა. უცებ მტრედებს შევარდენი დაესხა თავს. გუნდი ძირს დაეშვა, შევარდენიც დაჰყვა; მაშინ გუნდმა მაღლა აჰკრა კამარა. შევარდენი შეჰფერხდა, მაგრამ სწრაფად აჰყვა და ზევიდან მოექცა. გუნდი კვლავ ქვევით დაეშვა და, აი, ამ დროს ერთი მტრედი გამოეყო გუნდს. ფრთებს ალახლახებდა, „დაილუპა" მეთქი, — გავიფიქრე და თოფი გავამზადე ბრძოლის ველისკენ. შევარდენი შეტრიალდა, აჰკრა კამარა და მოლივლივე ცაში დაიკარგა, მტრედი კი ლახლახით თავის გუნდს გაჰყვა. არ ვიცი დაეწია თუ არა, გუნდი უკვე შორს იყო. მე სიამოვნებით გავიღიმე, „ერთი არსება გადავარჩინე-მეთქი", — ვიფიქრე. მაშინ ასე ვფიქრობდი. რომ წამოვიზარდე და ცოტა რამ გავიგე, ისე აღარ მეამაყებოდა მტრედის გადარჩენა. იგი, როგორც ჩანს, სუსტი მტრედი იყო, სუსტი მტრედი კი სუსტ შთამომავლობას მოგვცემს. ბუნებას თავისი კანონები აქვს: ძლიერი რჩება, სუსტი იღუპება. გარდა ამისა, ბუნებაში, განსაზღვრული რაოდენობით, ყველა ცოცხალი არსება საჭიროა: მგელიც და ირემიც, ტურაც და კურდღელიც, ქორიც და მტრედიც, ხოხობიც და შევარდენიც... მტაცებელნი ბუნების სანიტრების როლს ასრულებენ. თქვენ ალბათ გიყვართ ტყე-ღრეში სიარული, ბუნების სილამაზით დატკბობა და, დარწმუნებული ვარ, არსად არ შეგხვედრებოდათ რომელიმე ცხოველის ან ფრინველის ლეში — ის უკვე „ალაგებული" იქნებოდა ამ „სანიტრების" მიერ.

ამასთან ერთად, მტაცებლები ხელს უწყობენ ძლიერი თაობის გამრავლებას. შორეული ციმბირი, ტაიგა, ტუნდრა ნადირით სავსე მხარეა. იქ ირემიც ბევრია, შველიც, მგელიც, მაგრამ ირემი არ ამოწყვეტილა. მიჰქრის ირმის ჯოგი და მისდევს ენაგადმოგდებული მგლების ხროვა. მიჰქრის ირმის ჯოგი და, აი, ერთი ჩამორჩა და წაიფორხილა, წაიფორხილა და მგლების ლუკმა გახდა. გადარჩნენ ძლიერნი, რომელნიც ძლიერ თაობას მოგვცემენ.

ამერიკის ზოგიერთ ნაკრძალში მგლები და სხვა მტაცებლები ამოწყვიტეს, მაგრამ ოციოდე წლის შემდეგ გამოირკვა, რომ ირმები, შვლები, გარეული თხები, ცხენ-ირმები და მისთანანი, დაავადდნენ, დასნეულდნენ, გამოირკვა, რომ, რაკი „ბუნების სანიტრები" აღარა ჰყავდათ, მათი შთამომავლობა დაჩიავდა. ნაკრძალთა ადმინისტრაციამ მგლები სხვა მხარეებში შეიძინა. ისინი განსაზღვრული რაოდენობით გაუშვეს ნაკრძალებში.

ამერიკის ზოგიერთ შტატში დინგო (გარეული ძაღლი) და მგელი ცხვრის ფარებსა და საქონელს დიდ ზიანს აყენებდნენ. დინგოცა და მგელიც მთლიანად გაწყვიტეს. გამრავლდა ბოცვერი (კურდღლის ერთ-ერთი სახეობა), რომელმაც მოსავალი გააჩანაგა. ზარალი მრავალჯერ აღემატებოდა ცხვრისა და შინაური ცხოველის დანაკლისს. იძულებულნი გახდნენ მგლები და დინგოები სხვა მხარეებიდან შემოეყვანათ და განსაზღვრული რაოდენობით მოემრავლებინათ. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ადამიანი არ უნდა ერეოდეს ბუნების წონასწო-

რობის მოწესრიგებაში. არის შემთხვევა, როდესაც ესა თუ ის მავნებელი ისე მრავლდება, რომ დიდი ზარალი მოაქვს. აი, სწორედ აქ არის საჭირო ადამიანის ჭკუა-გონება. მავნებელნი მხოლოდ იმ რაოდენობისა უნდა დავტოვოთ, რაც ხელს შეუწყობს ბუნების წონასწორობის დაცვას.

რამდენადაც ლამაზი, მრავალფეროვანი და ყოველმხრივ დამშვენებულია ჩვენი ბუნება, იმდენად სასიამოვნოა მის წიაღში ყოფნა და ცხოვრება.

საქართველო ერთ-ერთი ულამაზესი ქვეყანაა; თოვლიანი მთებიდან ერთი დღის სავალია ველობამდე. გზად გადივლი ალპურ მდელოებს — ათასნაირი ყვავილით დამშვენებულს, უღრან ტყეებს, სადაც უთხოვარი და წაბლი, ცაცხვი და ბოყვი, წიფელი და მუხა და მრავალი სხვა ხე ერთმანეთს ენაცვლება; მრავალჯერ წააწყდები მთის მჩქეფარე მდინარეებსა და ნაკადულებს, რომელთაც დედის რძესავით სწოვენ ჩვენი ბაღ-მინდვრები; ხან აქ და ხან იქ წინ გადაგირბენს ქორბუდა ირემი, ცქვიტი შველი, კლდის ბინადარი ამაყი ჯიხვი, ფსიტი, გარეული თხა... რა სჯობს ამ სიმდიდრეს! გონიერ ადამიანს აზრად არც უნდა მოუვიდეს სიცოცხლეს გამოასალმოს ეს შესანიშნავი არსებანი. დაე იცოცხლონ, გაახარონ ჩვენი თვალი, დაამშვენონ ჩვენი ბუნება!

მართალია ..მ შემთხვევაში, თუ ისე მომრავლდნენ, რომ საქვეყნო დოვლათს ზარალს აყენებენ, საჭირო იქნება გარეულ ცხოველთა შეთხელება, მაგრამ ეს სახელმწიფო ღონისძიებით, მეცნიერთა მონაწილეობით უნდა მოხდეს.

თუ ჩვენი ქვეყანა ლამაზია, თუ აქ ამდენი შესანიშნავი ნადირ-ფრინველი ბუდობს, მთის მდინარენი და ნაკადულები მოსჩქეფს, ეს იმიტომ, რომ ჩვენი მთის ფერდობები ჯერ კიდევ ტყით არის შემოსილი. საქართველოს ტერიტორიის სამ მეოთხედ ნაწილზე მეტი მთიანია, მთიანი ტერიტორიის ნახევარზე ნაკლები ტყით არის დაფარული, მეორე ნახევარი მთის მდელოებს უჭირავს. მთების დაახლოებით ერთ მეხუთედს კი თოვლი და ყინული ჰფარავს. ეს თოვლი და ყინულია, მარადიულ სიცოცხლეს რომ აძლევს ჩვენს წყაროებს, ნაკადულებს, მდინარეებს. მაგრამ იგი ოდნავადაც არ იქნებოდა საკმარისი, მთის ფერდობი ტყით და შეკრული კორდით რომ არ იყოს დაფარული. უფრო მეტიც: ტყე რომ არ ყოფილიყო, არც ამდენი თოვლიანი მთა და მყინვარი გვექნებოდა; მთის კალთები ჩამოირეცხებოდა, ნიაღვარი წამოიღებდა ქვასა და ღორღს, ქვიშასა და ლამს. გამოქანდებოდა ვაკისაკენ, წალეკავდა ბაღებსა და ვენახებს, მინდორს, სოფელს, ქალაქს. ბევრი სოფელი და ქალაქი აღუგვია პირისაგან მიწისა ადიდებულ მდინარეს იმ ქვეყანაში, სადაც ტყე უდიერად გაჩეხეს, თავის დროზე არ მოუარეს. ჩრდილოეთ ამერიკაში, კოლორადოს ხეობაში ტყეები მოსპეს, რის შედეგადაც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ხშირმა წყალდიდობამ აუარებელი სოფელი და ქალაქი მიწასთან გაასწორა. ქარული ეროზიის შედეგად ჰაერში ატაცებულმა მტვერმა, ამერიკაშივე, ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში, მზე დააბნელა, მტვრით დაფარა ქალაქები.

ჩვენშიც, იმ რაიონებში, სადაც ტყის ყადრი არ იცოდნენ, ადიდებულმა მდინარეებმა (ტანა, დურუჯი, თერგი, ძირულა და სხვ.) კეთილი არ დააყარა ხალხს. ბევრგან სოფლების ახალ ადგილებში გადასახლება მხოლოდ იმიტომ გვიხდებოდა, რომ ამ სოფლების მიდამოებში ტყე უსისტემოდ იჩეხებოდა და უდიდესი რაიონები დაიმეწყრა (ქვემო იმერეთი, აფხაზეთი).

ტყე აჯანსაღებს ჰაერს, ხელს უწყობს ხალხის ჯანმრთელობას, ჯანმრთელი ხალხი კი სულიერადაც ძლიერია, ხალხის სულიერი სიძლიერე, რასაკვირველია, მარტო ტყეზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ ტყე ბუნების ერთ-ერთი ელემენტია, მასზეა დამოკიდებული ჰავის ზომიერება, ჟანგბადით ჰაერის სიმდიდრე, მდინარეთა სიუხვე, ელექტროსადგურების, სარწყავი არხების სიმრავლე და სხვა მრავალი. ყოველივე ეს ხალხის ჯანმრთელობაზე, ხალხის ფსიქიკაზე მოქმედებს. ფსიქიკაზე და ჯანმრთელობაზე მარტო ის კი არ მოქმედებს, რომ მიწა კარგ მოსავალს იძლევა, არამედ ბუნების სილამაზეც. მაღლიდან გადმოვარდნილი ჩანჩქერი, კლდეზე რომ მარგალიტის შხეფებად იმტვრევა და ცხრათვალა მზის სხივებში ელვარებს, ვის არ მოსწყვეტს თვალს, მეტადრე თუ ამ დროს მთის თხემზე ქორბუდა ირემი გადმოდგა, ან ცქვიტმა შველმა გაირბინა — ეს ხომ გვირგვინი იქნება მთელი დღისა!

არასდროს არ დამავიწყდება: მთათუშეთის თოვლიან მთებში ვიყავი, ხელში წერაყინი მეჭირა, მხარზე საჰერბარიო აბგა და ფოტოაპარატი მქონდა გადაკიდებული; ავედი ქედის თხემზე, შემოვუარე კლდეს, „გუშაგს“ რომ ვეძახდით ალპინისტები, და უცბათ გავშეშდი, სუნთქვა შემეკრა: ჩემს წინ ჯიხვის არვე ბალახს სძოვდა, მამალი ჯიხვი მალიმალ ასწევდა თავს, გაშეშდებოდა, გარინდდებოდა. არ ვიცი როდემდე ვიდექ ასე. ბოლოს ამოვისუნთქე, ჯიხვმა უმალ თავი დაიქნია, შუნებმა* ყურები ცქვიტეს და კლდეებზე გაფრინდნენ. ფოტოაპარატი მქონდა და ისიც კი დამავიწყდა. მაღლა ავიხედე. ფასკუნჯი წრეს უვლიდა, ლურჯ ცაში ქანაობდა. დავჯექი და გავყე ბედნიერ ოცნებას. ეს მთა, ჯიხვის არვე, ცაში ფასკუნჯი, ლურჯი ცა, ყვავილებით დამშვენებული მდელო ხომ მე მეკუთვნოდა;

იქნებ იკითხოთ, მაშ ხე არ მოვჭრათო? არა, უნდა მოვჭრათ, მაგრამ ისე, რომ ამ მოჭრამ მრავალი სხვის წამოზრდას ხელი შეუწყოს, ესე იგი, თუ მოიჭრება, მხოლოდ გადაბერებული, დაავადებული ხე უნდა მოიჭრას. ან, არ შევებრძოლოთ მგელს? უნდა შევებრძოლოთ, როცა მას დიდი ზარალი მოაქვს, მაგრამ არ უნდა ამოვწყვიტოთ. ქორ-მიმინოს იმდენი სარგებლობა მოაქვს თაგვებისა და სხვა მღრღნელების განადგურებით, რომ სადაც ეს იციან, იქ მათთვის მაღალ სარებს არჭობენ მინდვრებში, რომ ქორ-მიმინო დაჯდეს ზედ და ირგვლივ მიმოიხედოს, თაგვი და სხვა მღრღნელი დაინახოს.

ბუნების სარგებლობაზე ბევრის, ძალიან ბევრის თქმა შეიძლება. დააკვირდით ბუნებას, ისწავლეთ ამ დიდი წიგნის კითხვა; დაეხმარეთ ბუნებას, რომ იგი უფრო დამშვენდეს; დარგეთ ხეები, რომ თქვენს მხარეს სიმწვანე შეემატოს; გაუფრთხილდით სასარგებლო ნადირ-ფრინველს.



მხატვარი ზ. ფოცხიშვილი.

აქ მოთხრობილია იანისა და მარიას მეგობრობის ამბავი, რომელიც დაიწყო 1942 წელს თვალუწვდენელ ჭაობნარსა. და სოფელ პოლზონოვას მიდამოებში, და გაგრძელდა ათი წლის შემდეგ, ვარშავაში.

# მედალიონი

მხატვარი დიმიტრი ერისთავი

## გუნთერ უოისზელი

ზაფხულის პაპანაქება დღე იყო, როცა იანი და მარია პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. ტორფი გახრწნილი ხეების და ჭაობის სუნით ყარდა. მარია ბიძია თომასის ბაღში იდგა და ტიროდა. დოშკა, თეთრბალნიანი შპიცი, ღობესთან დარბოდა და ყრუდ წკმუტუნებდა.

დოშკა! — დაუძახა იანმა. ძაღლს ცხვირი მავთულხლართში გაეყო. მარია მივიდა, მოეფერა.

იანი შეშფოთებული ზეწამოიჭრა: „ეს ჩემი ძაღლია, დოშკა ჰქვია!“.

მარიამ თავი დაუქნია. „მე ბიძია თომასთან ვცხოვრობ“ — უთხრა მან. მარიას დაუძახეს. დოშკა ცნობისმოყვარეობით გასცქეროდა მიმავალ გოგონას.

სოფელში ხმა დადიოდა, ბიძია თომასს ვარშავიდან და ჩამოუვიდა თავისი ქალიშვილითო. იმასაც ამბობდნენ, ქალი ძალიან ავად არისო.

არ გავიდა ხუთი დღე და, ვარშაველი ქალი პოლზონოვას პატარა სასაფლაოზე დაკრძალეს.

ჭაობნარი კი ყვაოდა. ქარს პოლზონოვას ბაღებში ნარშავას ყვავილის თეთრი ბუსუსები მოჰქონდა.

მარია იჯდა სახლსუკან და კარტოფილს თლიდა. ღობესთან მხიარული წკმუტუნით მოირბინა დოშკამ. გამოძვრა ჟანგიან მავთულხლართში და თავი მარიას მუხლებზე ჩამოდო. „დოშკა!“ — წაიჩურჩულა მარიამ. ძაღლს მოეფერა — ორივე ხელი თავზე გადაუსვა. იანი ღობეს მიუახლოვდა. „დოშკას ძალიან უყვარხარ, მარია!“ — თქვა იანმა. მარიამ თავი დაუქნია. თეთრბალნიანი შპიცი წამოწვა, ზურგით მარიას ფეხებს მიეყრდნო და ცხვირი მზეს მიუშვირა. ასე დამეგობრდნენ ძაღლი დოშკა, იანი და მარია. როცა იანი თავის მამასა და ბიძია თომასს ეხმარებოდა ტორფის დამუშავებაში, მარიას კალათით საუზმე მიჰქონდა მათთან. იანი და მარია მოშორებით დასხდებოდნენ ხოლმე და გატაცებით საუბრობდნენ მომავალზე, იმ დროზე, როცა ომი სამუდამოდ დაივიწყებდა პოლზონოვას და მათი ოცნებები ფრთას შეისხამდა.

ზაფხული იწურებოდა. ვერცხლისფერი წეროების გუნდი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ზაფხულს — სამხრეთისაკენ მიფრინავდა. მალე პირველი თოვლიც მოვიდა.

სოფელში გერმანელთა სატვირთო მანქანები გამოჩნდა. გერმანელ ჯარისკაცებს სახლებიდან, ტორფის დასამუშავებელი ადგილებიდან მამაკაცები გამოჰყავდათ და მანქანებისაკენ ერეკებოდნენ. ქალები კიოდნენ, ბავშვები ტიროდნენ, მოხუცები კი უმწეოდ ასავსავებდნენ ხელებს. მოტორები აგუგუნდა და მანქანებმა უკან მოიტოვეს სოფლის თოვლჭყაპიანი შარაგზა. ბურგომისტრის ბინაში კი სამი გერმანელი ჯარისკაცი დაბინავდა. ასე დაკარგა იანმა მამა. იდგა სევდიანი და მიყრუებული ზამთარი, სოფელში დარჩენილებს, თითქოს თავისი არსებობაც დავიწყებოდათ, მაგრამ ჩაეკეტათ სახლის კარები...

ზამთრის ერთ მოღუშულ დღეს იანი და მარია ბიძია თომასის სამზარეულოში ისხდნენ. მარია სხვადასხვა დროს წიგნებში წაკითხულ ამბებს ჰყვებოდა. ბიძია თომასი და იანი ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლს შესცქეროდნენ და უსმენდნენ მარიას. ბიძია თომასი ბავშვებისათვის უცნაურ ცხოველებსა და სხვადასხვა სათამაშოს აკეთებდა ჭაობის მცენარეების ფესვებისაგან. როცა ბავშვებს, მშობლების გამო, სევდა შემოაწვებოდათ, მოხუცი ამ სათამაშოებით ამხნევებდა და ანუგეშებდა მათ.

გაზაფხული, თითქოს მიწიდან ამოიზარდაო, უცებ ეწვია ჭაობნარს. ჰაერში შენავარდებული გარეული ბატები ფრთების ტლაშუნით ეშვებოდნენ მღვრიე წუმპეებში, ხოლო ნაზამთრალი, გამხმარი ბალახის ღეროებს შორის ამაყად გადაეშალათ მკერდი ბუერის ყვითელ ყვავილებს. ყვაოდა მაჯაღვერიც.

ჰაერი ნოტიო მიწისა და ნორჩი კვირტების სურნელებით იყო გაჟღენთილი. უცებ იანი შეჩერდა. მის ფერხთით ულვაშივით აგრეხილი ვარდისფერყვავილებიანი მცენარე გართხმულიყო.

„რა ლამაზია! — თქვა მარიამ წყნარად და ღრმად ჩაისუნთქა. — ნუ მოვწყვეტთ!“.

იანმა მხარზე გადაჰხვია ხელი მარიას. ისინი იდგნენ და უსიტყვოდ შესცქეროდნენ ფრინველთა გუნდს, რომელიც, ზეცაში სოლივით შეჭრილი, ელვის სისწრაფით მიჰქროდა ჩრდილოეთისაკენ.

იანისა და მარიას შინ მობრუნებამ ძალიან გაახარა დოშკა: ეცა მარიას, ხელები აულოკა, მერე ბაღის კვლებს გადაევლო და სახლის გარშემო იწყო სირბილი. იანი და მარია იცინოდნენ. „ჩვენს დოშკას გაზაფხული ჩაუდგა სხეულში!“ — უთხრა იანმა მარიას.

უცებ დოშკამ წვეტიანი ცხვირი მოცხარის ბუჩქში წაყო და ადგილზე გაქვავდა, მერე კი წინა თათებით მიწას ჩიჩქნა დაუწყო, თან ყმუოდა, წკმუტუნებდა. დოშკამ რაღაც ამოათრია მიწიდან.

მარიას ფერი დაეკარგა. „დოშკა!“ — დაიყვირა მან. — მაგრამ ძაღლი თავგამოდებით გაიქცა ბაღიდან და პირში გაჩრილ ფალასს ჰაერში მიაფრიალებდა. მარია გამოუდგა, ძაღლმა კი სახლს ჩაუქროლა და შარაგზაზე გავარდა.

„დოშკა! დოშკა!“ — უყვიროდა სასოწარკვეთილი მარია და უკან მისდევდა. გაკვირვებული იანი მარიას დაედევნა.

დოშკა სოფლის მოედნის შუაგულში შეჩერდა. ფალასი ყურებზე გადმოეფარა. იქვე, გერმანელი ჯარისკაცი ჭიდან წყალს იღებდა. მან შეამჩნია ძაღლი და ვედროთი წყალი გადაასხა. შეშინებულმა დოშკამ დაიწკმუტუნა. მერე ფალასი დააგდო და კუდამოძუებული, იანისაკენ გაიქცა. ჯარისკაცმა ფეხი აჰკრა ფალასს. მერე დაიხარა და აიღო. იანი გაოცებული შესცქეროდა. ქალის დაგლეჯილ

ზედატანზე ებრაული ყვითელი ვარსკვლავი იყო გამოსახული.

მარიამ ხელები აიფარა სახეზე და ატირდა.

„მაშ, ეგრეა!“ — ჩურჩულებდა შეშინებული იანი.

მარიას თვალებში შიში ჩაუდგა. იგი თავზარდაცემული გაიქცა ბიძია თომასის სახლისაკენ.

იანი ადგილზე გაშეშდა. მან დაინახა, ყავისფერმუნდირიანმა ჯარისკაცმა როგორ აიღო ებრაული ყვითელვარსკვლავიანი ზედატანი და ბურგომისტრის სახლში შევიდა.

მაშ, ბიძია თომასი ებრაელებს მალავდა — ფიქრობდა იანი — ისინი შეიპყრობენ მას და დახვრეტენ. „მაგრამ მე ეს არ ვიცოდი!“ — ჩურჩულებდა იგი. „ არა, არა, მე ეს არ ვიცოდი!“ იანი შინ გაიქცა და კარი ჩაკეტა. მერე ფანჯარას მოადგა და ანთებული თვალები ბიძია თომასის სახლს მიაპყრო.

კარებში მარია გამოჩნდა. მას ხელში პატარა ჩანთა ეჭირა, სახეზე ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები.

„მარია!“ — წაიჩურჩულა იანმა. იგი გაქვავებული იდგა ფანჯარასთან.

მარია ბამბნარისაკენ გაიქცა. დრო და დრო შეშინებული იცქირებოდა უკან ,მერე კი გადაზნექილი ტირიფის ძირმა მიიმალა. შიშისა და მწუხარებისაგან გაოგნებულ იანს გული თითქოს გაუჩერდა. იგი ერთხანს მდუმარედ იდგა, მერე კარი გააღო, მარიას გამოუდგა და წამოეწია.

„ბიძია თომასი შინ არ არის!“ — ჩურჩულებდა მარია. იანმა მარიას ხელი მოჰკიდა. — წამო, ბამბნარში წაგიყვან. იქ ერთი ადგილია, ჩემს მეტმა სხვამ არავინ იცის“.

მარიამ და იანმა ბამბნარისაკენ მოკურცხლეს. თენდებოდა, როცა იანი პოლზონოვაში დაბრუნდა.

ბიძია თომასი ბაღში იჯდა და აბოლებდა. იანმა ჩურჩულით უამბო მოხუცს დოშკას და ებრაული ყვითელი ვარსკვლავის ამბავი. ისიც უთხრა, რომ მარია ბამბნარში იმალებოდა, რომ გერმანელებმა ყველაფერი იციან მარიასი“.

„ ასე რომ მცოდნოდა, ტანსაცმელს დავწვავდი“. — ბიძია თომასმა სახეზე ჩამოშლილი ბალარა თმა უკან გადაიყარა.

„იან. მარია უნდა გასცილდეს აქაურობას!“

მოხუცმა აიღო თავისი ჯოხი, შინ შევიდა, მძიმე ნაბიჯით გაიარა ოთახი და კარადასთან შეჩერდა. მერე გამოაღო უჯრა და რაღაცა ნივთები დიდ თავშალში გაახვია.

— შენ უნდა იცოდე, იან, რომ მარია და დედამისი ვარშავის გეტოდან გამოიქცნენ. ბევრი ადამიანი დაეხმარათ. მათი ამაგი წყალში არ უნდა გადაიყაროს ტყუილუბრალოდ!“

„ბიძია თომას! — უთხრა იანმა წყნარად — მარიას დედა შენი და იყო?“ — მოხუცმა თავი დაუქნია, მხრებზე გადახვია ხელი და აუხსნა, რა გზით უნდა წაეყვანა მარია ქალაქში.

კარებზე მუშტებისა და ჩექმების ბრახუნი გაისმა. ბიძია თომასმა პაპიროსი გადააგდო, იანს ორივე ხელი მოჰკიდა თავზე. ხმა აუკანკალდა. „ბაღით გაიქეცი, ჩემო ბიჭუნავ, — ჩურჩულით უთხრა იანს. გოგონა მოაცილე აქაურობას!“

იანი ღობეს გადაევლო. სახლის წინ ავტომობილი იდგა, იანმა თავისი თვალით დაინახა, როგორ შეაგდეს ბიძია თომასი მანქანაში.



10663

ეროვნული ბიბლიოთეკა



იანი ატირდა. მუქარით მომუშტული ხელები ჩაიტენა ჯიბეებში და ჩაბნელებული ქაობნარისაკენ მოჰკურცხლა.

იმ ღამით ქაობნარზე გაზაფხულის დიდი, ნათელი მთვარე ამოცურდა და იანსა და მარიას გზა გაუნათა. ისინი დასავლეთით, პატარა ქალაქისაკენ მიდიოდნენ.

გათენდა. დილის ბურუსში გახვეული დაბალი სახლები ლანდებივით მოჩანდა.

„ახლა მარტო ვივლი!“ — უთხრა მარიამ იანს. იანი უსიტყვოდ იდგა და მარიას ხელი ეჭირა. მარიამ ყელიდან ძეწკვი მოიხსნა, რომელზეც მარჯნის თვლებით შემკობილი ოქროს მედალიონი ეკიდა. მარიამ მედალიონი გახსნა, მინისქვეშ ერთმხარეს, ქალიშვილის სურათი ჩანდა, მეორე მხარეს კი — დედისა.

„გამომართვი, იან! — დაიჩურჩულა მარიამ. — ნურასოდეს დამივიწყებ!“

იანმა უხმოდ გამოართვა მედალიონი, დახურა და მუჭაში ჩამალა.

მარია აჩქარებული ნაბიჯით მიდიოდა ქალაქისაკენ. მისი სილუეტი თანდათან შორდებოდა თვალს და პატარავდებოდა, ბოლოს ნისლმა სრულიად შთანთქა.

მზე პოლზონოვას თავზე შემომდგარიყო. იანი შინ შემობრუნდა. იჯდა ბაღში და შესცქეროდა, ქარი როგორ აჭრიალებდა ბიძია თომასის უპატრონოდ მიტოვებულ ჭიშკარს.

საიდანღაც დოშკამ მოირბინა, მეგობრული ყეფით შეახტა იანს მუხლებზე და თავი ხელებში ჩაურგო. იანი წამოხტა და ფეხი ამოჰკრა ძაღლს. დოშკა ღობისაკენ წაბარბაცდა წკავწკავით.

„შენ უღალატე მარიას! — დაიყვირა იანმა. — შენ დამნაშავე ხარ ყველას წინაშე!“

ძაღლი ჩაცუცქებულიყო და კანკალებდა. აქამდე ჯერ არავის ამოეკრა მისთვის წიხლი. იანი მოლბა, თავზე გადაუსვა ხელი თეთრბალნიან შპიცს და მოეფერა. დოშკა მედალიონს ლოკავდა და წკმუტუნებდა.

როცა იანმა ერთი კვირის შემდეგ სცადა პატარა ქალაქში მარია მოეძებნა, კვალს ვერ მიაგნო. არავის ენახა, არც არაფერი იცოდნენ მარიასი.

წლებმა გაირბინა და ომიც წარსულს ჩაბარდა. იანი დავაჟკაცდა. მან პატარა სოფელი პოლზონოვა მიატოვა და მეექსკავატორედ ვარშავაში დაიწყო მუშაობა.

ივნისის ცხელი დღე იყო. მშენებლობაზე მანქანების გუგუნი ისმოდა. ადამიანებს შუბლიდან ღვარად ჩამოსდიოდათ ოფლი. იანს პერანგი გაეხადა. მტვრიან მკერდზე მედალიონი ეკიდა, ოდესღაც მარიამ რომ უსახსოვრა.

სწორედ ამ დღეს მშენებლობას ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეები სწვეოდნენ ახალგაზრდა მასწავლებელ ქალთან ერთად. იანმა ექსკავატორი კუჩაში გაიყვანა. „შესვენებაზე მივდივარ!“ — სიცილით მიესალმა ბავშვებს.

უცებ მასწავლებელი ქალი იანისაკენ გაექანა, მისწვდა მედალიონს და გახსნა, იანი სახტად დარჩა.

„იან! — წამოიძახა ქალმა — მე მარია ვარ!“

იანმა მოიხსნა მკერდიდან მედალიონი და მარიას დაუბრუნა. ბავშვები ცნობისმოყვარეობით შემოეხვივნენ მათ.

იანმა და მარიამ ბავშვებს უამბეს თავიანთ მეგობრობაზე, რომელიც სოფელ პოლზონოვაში, თვალუწვდენელ ჭაობნარში დაიწყო...

გერმანულიდან თარგმნა თემურ ღლონტმა.

# და ახლა...

**სიმონ შამფრიანი**

სერიდან სერამდე განფენილ
მზეს,
უღრანში გაბნეულ იდუმალ
ხმებს,
მთის თავზე გაფრენილ
ღრუბლებს და ნისლს
სრუტავდა,
სრუტავდა,
სრუტავდა
ის.

ამაყი,
ტანადი,
ხეებში პირველი,
ცინცხალი რიჟრაჟის
ცახცახით მხილველი—
ერთხელაც იყო და...
წაიქცა ხვნეშით;

წაიქცა და... იქცა
ხროვებად შეშის...
და ახლა იმა მზეს—
სერით-სერ განფენილს,
იმ ღრუბლებს,
იმ ნისლებს—
მთის თავზე გაფრენილს,
იდუმალ იმა ხმებს
უღრანი მუხნარის—
ტყის ფერად ზღაპრებად
გვთავაზობს ბუხარი.



**შქოე ჰასანი**
ქურთი პოეტი

# კატა-თაგვობანა

(იგავი)

ერთი კატა შიმშილისგან
გრძნობდა თავის ტკივილს,
რახანია ხორცისათვის
არ გაეკრა კბილი.
თაგვიც არსად არ გამოჩნდა,
რომ შესანსლოს უცებ,
ჯის ხვრელთან და საცოდავად
აცმაცუნებს ტუჩებს...





როგორც იქნა, ერთი თაგვი
გაფაჩუნდა ხვრელში,
— ავშენდიო,—კატა ფიქრობს,—
თუ ჩავიგდე ხელში.
აიწურა, დაიძაბა,
სკუპ!—მიახტა ფიცხლად,
თაგვის ნაცვლად ხელში შერჩა
მოფხოჭნილი მიწა!

ცბიერმა და გაიძვერამ
ხერხს მიმართა წამსვე,—
დაუშაქრდა თაგუნიას,
დაუყვავა ასე:
— ჩემო კარგო, მე არ ვგევარ
გაუმაძღარ კატებს...,
მინდა შორით გიყურო და
სილამაზით დავტკბე.
გამოდი და ხელს არ გახლებ,
არ ვარ შენი მტერი...
საჩუქრებიც მოგიტანე—
ოქროები ბევრი!..
— ვერ მოგართვი, ვერ მაცდუნებ
მოთაფლული ენით,
არასოდეს არ მოხდება
დამოყვრება ჩვენი.
ვიცი, ხემსიც არ გინახავს
მთელი დღე და ღამე,
თუ გშია და... მე რა გიყო,—
შენი ოქრო ჭამე!

თარგმნა გ. კაკაბაძემ
მხატვარი გაიოზ ფოცხიშვილი.

# მოსწავლეთა



# შემოქმედება

## გული ღელავს

ალისფერო ყელსახვევო, ჩემს ბავშვობას შენთან ვტოვებ...
სიჭაბუკის გზა-სავალი რა ვრცელია, რა გრძელია!..
მე ცხოვრების აღმართი და დაღმართები არ მაშინებს,
საოცნებო, სასიმღერო რამდენია!
გული ისე მოელოდა ამ პატარა წითელ ბილეთს,
რომ მე განცდა სიხარულის მომატარებს ცას და ხმელეთს.
და ვპირდები ჩემს სამშობლოს, ჩემს საყვარელ მთას და მდელოს,
საზეიმოდ მოჩახჩახე ორდენოსან საქართველოს,
რომ ვისწავლი, რომ ვიშრომებ და ვიქნები სასახელო,
რომ ჩვენს წარსულს, გმირულ წარსულს არ შევარცხვენ არასოდეს.
და დღეს, როცა სიხარული ჩემი გულის აღებს კარებს,
როცა გრძნობა სიჭაბუკის მახარებს და ძალას მმატებს,—
გული ღელავს და ვერ ვფარავ ჩემს უსაზღვრო აღტაცებას
და შევცქერი სიყვარულით ამ პატარა წითელ ბილეთს.
ალისფერო ყელსახვევო, ჩემს ბავშვობას შენთან ვტოვებ...
სიჭაბუკის გზა-სავალი რა ვრცელია, რა გრძელია!..
მე ცხოვრების აღმართი და დაღმართები არ მაშინებს,
საოცნებო, სასიმღერო რამდენია!

თემურ ნუცუბიძე,
სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის საშუალო სკოლის
VIII კლასის მოსწავლე.

რეპროდუქციები
ნორჩ შემოქმედთა
რესპუბლიკური
გამოფენის
ექსპონატებიდან.



ცხენოსნები.

ვ. ბექაია,
სამტრედიის
პიონერთა
სახლი. VIII კლ. მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბილიკი

ხან დაბლობში წევს, ხან მთაში მოსჩანს
ვიწრო ბილიკი, გრძელი ძალიან,
და, დასასრული არ ჰქონდეს თითქოს,
დასასრულისთვის არცა სცალიან.

მაგრამ ბილიკი მთავრდება მაინც,
ფართოვდება და შარაგზად მიდის.
ასე იწყება დასაბამიდან
ბილიკი, მერე—შარაგზა დიდი.

ასე იწყება კაცის ცხოვრებაც,
ჯერ ის ბილიკის იქნება შვილი,
და მერე გავა დიდ შარაგზაზე,
და ამ შარაგზით ბოლომდე ივლის.

მზია შეწირული
ქ. მახარაძის მე-2 საშუალო სკოლის
VII კლასის მოსწავლე.

## გმირებს

მე ეს სიმღერა მათ მივუძღვენი,
ვინაც დაიცვა სამშობლოს ბჟენი,
ვინც მედგრად ჰკაფა მომხდური მტერი,
მკერდით დაიცვა მშობელი ერი,
ვინც მამულისთვის სიცოცხლე სწირა,
ვინც ბრძოლის ველზე დაეცა გმირად.

მათ საფლავებზე ვარსკვლავი ბრწყინავს,
მარადიული ცეცხლი ინთება,
უჭკნობი დაფნის ფოთლები მოსავს
მათ გმირულ საქმეს, უჭკნობ დიდებას!

ქეთინო აბესაძე,
თბილისის 61-ე საშუალო სკოლის
VI კლასის მოსწავლე.

სპორტსმენი
გოგონა.



ი. დეკანოზიშვილი,
თბილისის 62-ე საშუალო სკოლის
VIII კლასის მოსწავლე.

## სანაპიროზე

ცისფერი ტალღა მოასკდა ნაპირს,
ზღვა ღელავს, ღელავს...
ვიღაცას ელის.
მზე ჰგავს სიცოცხლის ჩაუქრობ ლამპარს,
ზღვას უალერსებს უჩინარ ხელით...
. . . . . .
ზღვა ღელავს, ღელავს...
ვიღაცას ელის.

ნინო მუშკუდიანი,
თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის
VII კლასის მოსწავლე.

## ართხმოს ჭიუხებს

მაღალ ჭიუხის მწვერვალებს
ქარ-ნისლი ეტანებაო,
ხან გაეხვევა ბურუსში,
ხან ისევ გამოჩნდებაო.

არწივნი დაიყეფებენ,
კლდენი მისცემენ ბანსაო,
ჩაუქროლებენ შურთხებსა,
გააყოლებენ თვალსაო.

ზურაბ არაბული,
დაბა ყაზბეგის სკოლა-ინტერნატის
VIII კლასის მოსწავლე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ფიროსმანი.

ს. წერეთელი.
თბილისის 23-ე საშუალო სკოლის
III კლასის მოსწავლე.

# მოხუცის მ

პატარა, ზღვისპირა ქალაქს მუქი ნაცრისფერი ღრუბლები ჰფარავდა, კოკისპირულად წვიმდა, ხალხი სახლებში შეყუჟულიყო. სიცარიელე იგრძნობოდა და ხმაური ისმოდა... წვიმდა.

ზღვა კი თანდათან იკრებდა ძალას. ტალღა სულ უფრო და უფრო ძლიერად ეხეთქებოდა ნაპირს. ზღვა როდი ბუტბუტებდა, ბრდღვინავდა, ბრდღვინავდა, თავისი ძალა სწამდა და ამ ბრდღვინვაში თითქოს მოისმოდა: „ძრწოდეთ ჩემს წინაშე, გეშინოდეთ ჩემი!“

ქალაქის განაპირას, პატარა სახლში, მოხუცი მეზღვაური ცხოვრობდა. მოხუცი ავად იყო, ძალიან ავად. იწვა და იტანჯებოდა. იტანჯებოდა და ყურს უგდებდა გარედან შემოსულ ხმაურს: წვიმის შხაპუნსა და გაავებული ზღვის ბრდღვინვას. სახლში სიჩუმე იყო. ყველა თითისწვერებზე დადიოდა, რომ მოხუცისათვის ძილი არ გაეფრთხოთ. მოხუცს კი არ ეძინა. სცადა ჩაძინება, მაგრამ — ამაოდ: წვიმის შხაპუნმა არ დააძინა. ჭერი ერთ ადგილას გახვრეტილიყო და იქიდან წვიმის წყალი წვეთ-წვეთად ჩამოდიოდა. მოხუცი აკვირდებოდა ამ წვეთებს. წვეთი ჩამოეკიდებოდა ნახვრეტის კიდეზე, გაიბერებოდა, გაივსებოდა და მერე ძირს ეცემოდა, სადაც მის დასახვედრად პატარა ჯამი შეედგათ. მოხუცი წვეთებს ითვლიდა. უკვე ორასამდე დაითვალა,

მოხუცს ფიქრი მოერია. თავისი ბავშვობა მოაგონდა, ამ ქალაქიდან შორს, მთის სოფელში რომ გაატარა. ყველაფერი თვალწინ წარმოუდგა. აი, თავის ტოლებთან ერთად დარბის კლდიან ფერდობებზე... მაღლა, სულ მაღლა ადიან და აღტაცებულნი შესცქერიან ცადაზიდულ ჭალარა მთებს. ცა ძალიან ლურჯია, მზე — მწველი, მთა — დიდებული. რამდენჯერ უნატრია პატარას იმ მთების მწვერვალთა ახლოდან ნახვა, რამდენჯერ უოცნებია, გავიზრდები და იმ მთებს დავიპყრობ.

## ქუთაისი

ყველა გიცნობს
„სავარდოდ და სამაისოდ“,
ქუთაისო!
ახლა თეთრად შემოსილხარ,
ის ხასხასა ყვავილები,
რა უყავი? სად არისო?!.

თოვლი მოდის,
ფიფქი ცვივა,
შემოდგომა ნაბადს იკრავს!
თუმც ვარდები აღარ ჩანან
ქუთაისო, მაინც გვხიბლავ.

. . .

ცისარტყელავ, ცისარტყელავ,
მსურს მოვხატო სერები,
მე ფანქრები დამეკარგა,
მომე შენი ფერები!

მთვარისა კუპრაშვილი.
ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩი შემოქმედი, V კლასის მოსწავლე.



პორტრეტი. დ. ჭუმბურიძე.
თბილისის 62-ე საშუალო სკოლის
IV კლასის მოსწავლე.

# ზღვაური

ყველაფერი კარგად ახსოვს მოხუცს: ახსოვს კოშკები, გოლიათი კოშკები... მათ გახსენებაზე სიხარული ისადგურებს მოხუცის ავადმყოფ გულში. ღიმილი ანათებს ავადმყოფის სახეს, როცა იგონებს ბავშვობის გატაცებას, ცამდე ასვლა რომ უნდოდა, ვარსკვლავების მოწყვეტა რომ სურდა... ერთხელ პაპამ უთხრა, კოშკიდან შეიძლება ცაზე ასვლა, მაგრამ ჯერ პატარა ხარ, როცა გაიზრდები, ცაში მაშინ ახვალო. და იცდიდა პატარა. ყინულოვანი მწვერვალების დაპყრობა, ციდან ვარსკვლავების ჩამოტანა და ზღვის ნახვა უნდოდა...

საოცარ ამბებს ჰყვებოდნენ მოხუცები: ზღვა უსაზღვროა, ცაზე უფრო ლურჯიაო, ზღვაზე იმხელა გემები დაცურავს, ზედ მთელი ჩვენი სოფლის ხალხი დაეტევაო. უნდოდა პატარას ენახა უსაზღვრო, უნაპირო, ცაზე უფრო ლურჯი ზღვა. მალე აუსრულდა ოცნება...

ხალხი მთიდან ბარში ჩამოდიოდა საცხოვრებლად. სტოვებდნენ უნაყოფო მიწას, გადმოკიდებულ ქარაფებსა და არწივთა ბუდეებს. პაპამაც გადაწყვიტა ბარში ჩაეყვანა საყვარელი შვილიშვილი. გული სწყდებოდა მოხუცს. ამაოდ მალავდა წამოსვლის წინ ცრემლებს.

პაპა და შვილიშვილი ამ პატარა ქალაქში დასახლდნენ. პირველ ხანებში ძალიან გაუჭირდათ, მერე პაპამ გემზე დაიწყო მუშაობა. შემდეგ შვილიშვილიც გემზე მოაწყო.

მდიდრები არ იყვნენ, მაგრამ პატიოსან ლუკმას სჭამდნენ. მათს პატარა ოჯახს მალე დიდი უბედურება დაატყდა თავს: პაპა ავად გახდა და რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. კარგად ახსოვს მოხუცს მომაკვდავის სიტყვები: „რა გატირებს, ვეჟო! მე მალე მოვკვდები, მაგრამ შენ ხომ აქ რჩები, შენ სისხლი და ხორცი ხარ ჩემი..." კარგად ახსოვს პატარა პროცესია: თვითონ იგი, პაპასავით მოხუცი ორი მეზღვაური და რამდენიმე მეზობელი. ღრუბლებს პირი შეუკრავთ და საწვიმრად ემზადებიან. ქუჩაში ადამიანები ქუდებს იხდიან და თვალს აყოლებენ მათ. უკვე დავაჟკაცებული შვილიშვილი დასტირის მზრუნველ პაპას.

დრო ყველაფერს ჰკურნავს. ახალგაზრდა მეზღვაურმა საკუთარი ოჯახი შექმნა. ამის შემდეგ ორი რამ უყვარდა მეზღვაურს საკუთარ თავზე მეტად: ოჯახი და ზღვა. კარგად ახსოვს, როგორ ბრუნდებოდა იგი შორეული რეისიდან და აღელვებული ჯერ კიდევ შორიდან აკვირდებოდა ნაპირს. იცოდა სად უნდა ეძებნა ნაცნობი სახეები. ნაპირს მარჯვნივ გააყოლებდა მზერას და იქ, პატარა ბორცვზე იპოვნიდა თავის ცოლ-შვილს. მეუღლეს ქალიშვილებისათვის ხელი ჩაევლო და იღიმებოდა. გოგონები პატარა, ფუნჩულა ხელებს იქნევდნენ და გაფაციცებით შესცქეროდნენ მეზღვაურებს: აბა, პირველი რომელი დავინახავთ მამასო. იყო სიყვარული, უსაზღვრო სიყვარული და იყო ამ გრძნობასავით უნაპირო, მომხიბვლელად ლურჯი ზღვა...

...წვიმა კი გადაღებას აღარ აპირებდა. ისევ გაავებული ბრდღვინავდა ზღვა. მოხუცს ესმოდა წვიმის წვეთების შხაპუნიც. მოხუცი მეზღვაური სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა. მას კი ძალიან უნდოდა ბოლომდე გაეხსენებინა ყველაფერი.

...ყოველი ახალი ჩამოსვლისას უფრო და უფრო მცირდებოდა ბორცვზე მდგომთა სილუეტების სიმაღლეთა შორის განსხვავება. მოხუცის ქალიშვილები იზრდებოდნენ და მალე სიმაღლეში დედასაც გაუსწრეს. მერე ორივენი დაოჯახდნენ და შვილიშვილებით უსაზღვროდ გაახარეს მამა.

...კვლავ გაავებული მძვინვარებდა ზღვა. კვლავ ისმოდა წვიმის შხაპუნი. მოხუცი მეზღვაური გრძნობდა, რომ მისი სიცოცხლის წუთები დათვლილი იყო. მაგრამ მოხუცი მშვიდად იყო, მას ყურში ჩაესმოდა სიკვდილის წინ პაპის ნათქვამი სიტყვები: „რა გატირებს, ვეჟო, მე თუ ვკვდები, შენ ხომ აქა რჩები, შენ ხომ სისხლი და ხორცი ხარ ჩემი"...

მოხუც მეზღვაურს ამქვეყნად შვილიშვილები რჩებოდა!

მალხაზ კვანჭილაშვილი,
თბილისის 55-ე საშუალო სკოლა.

## ზაფხული სოფლად

ზაფხულია, დაგვითხოვეს,
ვესტუმრები ბებოს,
მოგუგუნებს ავტობუსი
გაიშალეთ, გზებო!

ჩამოვუვლი გიას, ნანას,
შემოვირბენთ ბაღებს,
ყოველ დილით ჩემი ხელით
მოვრწყავ ლამაზ ვარდებს!

სათითაოდ შევუძახებ
ჩემ საყვარელ ჭუკებს,
დეზებიან მამლაყინწას,
ყველა ხმას რომ უქებს.

მაია ლომთათიძე,
თბილისის 114-ე სკოლის IV
კლასის მოსწავლე.



ურემი.

ვ. ძუთელია, ქ. სუხუმი,
VI კლასის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქალის პორტრეტი.

მ. გვეტაძე,
თბილისის
23-ე საშუალო
სკოლის X კლასი.

# ყელსაბამი

ნანა ბანაკიდან თავის სოფელში მიემგზავრებოდა. მატარებელი ქარივით მიჰქროდა. გოგონა ფანჯარას არ სცილდებოდა, გულს უხარებდა, ახლა უფრო მშვენიერი ეჩვენებოდა ნაცნობი ადგილები.

მატარებელი ერთ პატარა სადგურზე გაჩერდა. ნანამ თავის ბარგს წამოავლო ხელი და ბაქანზე ჩამოვიდა.

მალე ავტობუსმა ნანა სოფელში მიაგრიალა. გულის ჩქროლვით შეაღო გოგონამ ჭიშკარი. სიხარულით შემოეგებნენ დედა და ბებია. მოიკითხეს, გულში ჩაიკრეს.

ნანამ თვალი მიმოავლო ეზოს.

— ჩემი ცუგა სად არის? — იკითხა ნანამ და ჩანთიდან ყელსაბამი ამოიღო. ყელსაბამს წკარუნა ეკიდა.

— ცუგრი, ცუგრი! — დაიძახა ნანამ და ყელსაბამი ააწკარუნა.

ბებიამ პირი მოარიდა.

— სად არის ცუგა! — ჰკითხა გოგონამ ბებიას.

— რაღა დაგიმალო, შვილო, ჭკვიანი გოგო ხარ და ტირილს არ მოჰყვები. ცუგა მოგვიკვდა. გუშინწინ თევდორეს ნაგაზი შემოვარდა ჩვენს ეზოში, ცუგას გაეთამაშა. ცუგაც აჰყვა, თათი გაუსვა ალერსით თათზე. უცებ ნაგაზი რაღაცაზე გაბრაზდა, შეჰღრინა ცუგას და ისე დაკბინა, რომ საცოდავმა დილამდე სული განუტევა.

— ის წყეული, რა დაუშავა ჩემმა ცუგამ? — ცრემლები გადმოსცვივდა ნანას, თვალწინ წარმოუდგა კეთილი მეგობარი. გაწყობილ სუფრასთან რომ დაგეტოვებინათ, პირს არაფერს დააკარებდა, როგორ მშვენოდა შუბლზე შავი წინწკლები. ცუგასაც უყვარდა ნანა. გოგონა სკოლიდან რომ ბრუნდებოდა, ცუგა სიხარულით აწკმუტუნდებოდა, კუდის ქიცინით ფეხქვეშ ეგებოდა.

იდგა ნანა და ცრემლები სცვიოდა. მორიახლოს თეთრი ფისო დასკუპებულიყო, თვალები წყლიანი ჰქონდა, ალბათ ისიც ცუგას ნაღვლობდა.

ნანამ ფისო იხმო, ალერსით გადაუსვა ზურგზე ხელი და ყელსაბამი გაუკეთა: აჰა, ცუგას სამახსოვროდ გქონდესო!

„წკარუნ, წკარუნ". — გაიწკარუნა ყელსაბამმა.

**გულიკო გოგიტიძე,**
აბაშა. პირველი მაისის სახ. სკოლა. VIII კლასის მოსწავლე.

# საბაგირო გზა

ნაირფერი ყვავილებით
მოქარგულა მთა,
მთის ძირამდე გაჭიმულა
საბაგირო გზა.

ჩავსხედით და მყისვე ზარის
აწკრიალდა ხმა;
გასრიალდა ვაგონები,
შეგვიმოკლა გზა.

**ასმათ კოპალიანი.**
თბილისის რკინიგზის 1-ლი საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლე.

# ეჰ, არ მოვა ის!

ვუძღვნი გალაკტიონის ხსოვნას

წყალტუბოდან ქუთაისში
ქარი ისევ ქრის,
ეს ხომ მისი სუნთქვა არის,
მაგრამ არ ჩანს ის...
დრონი ჰქრიან, ჰქრიან დრონი,
დრო დროს ისევ სცვლის;
გზაზე ბევრი მოდის, ოღონდ,
ოღონდ არ ჩანს ის...
მოკამკამე თეთრი ღამე
ვერ იშორებს ფიქრს,
ელის, ელის, ელის, ელის,
მაინც არ სჩანს ის...
ქარი დაჰქრის კარდაკარა,
ისევ ისე წვიმს;
ატმის ყვავილს ფერმა დაჰკრა
ცისარტყელის ფრთის;
იაც მოვა, ვარდიც მოვა,
ეჰ, არ მოვა ის!..

# იპოვნა...

შემოფრინდა მერცხალი
გულზე თეთრი ხალით,
გაუხარდა ოთიკოს,
გაუბრწყინდა თვალი:
ბებო, შენი მაკრატლის
ვიპოვეთო კვალი —
მერცხალს კუდზე მიჰკვრია,
მოვკარიო თვალი.

**მიხეილ ქურდიანი.**
თბილისის 47-ე საშუალო სკოლის
VII კლასის მოსწავლე.

## საქართველო

იცოცხლე და იდღეგრძელე,
შენ პატარა საქართველო,
გალაღდი და გაიხარე,
აგიყვავდეს მთა და მდელო.

შენს გმირულ გულს არასოდეს
შეხებოდეს სევდა, დარდი,
მუდამ ასე იბრწყინვალე,
იქუხე და აელვარდი.

ჩაუმქრალი მზე ამკობდეს
ყვავილებით ნაქარგ მდელოს,
შენ სიმღერის სათავე ხარ,
ჩემო ტკბილო საქართველო.

ქეთინო ჩიტეიშვილი,
ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩი შემოქმედი, IX კლასის მოსწავლე.



ბებია. ვ. ქვახია, სოხუმის I სკოლა-ინტერნატის III კლასის მოსწავლე.

# გაზაფხული 10 წლისაა

— „ნორჩის ხმა“ ვუწოდოთ! — ამბობდა ერთი.

— „ლენინელი“ უკეთესი იქნება. — ამჯობინებდა მეორე.

— იქნებ „პიონერული“ დავარქვათ, ან „ნაკადული“, „ჩანჩქერი“, „რტო“... — თათბირობდნენ პიონერები.

— „გაზაფხული“! — წამოიძახა ერთმა მათგანმა და მიყურჩდნენ.

ყველას მოეწონა არჩევანი, გაზეთს „გაზაფხული“ უწოდეს და სულ რამდენიმე დღის მერე პირველი ნომერი აშრიალდა სასახლეში;

ეს ათი წლის წინათ მოხდა.

„გაზაფხულს“ ბევრი მკითხველი გაუჩნდა. სკოლებში პიონერებმა მოხალისე ფოსტალიონები გამოყვეს, მათ თავიანთ გაზეთს საგანგებო ჩარჩოც გაუკეთეს და კედელზე ჩამოჰკიდეს.

— ფოსტას არ ვანდობდით „გაზაფხულის“ მიტანას ჩვენს სახელოვან ადამიანებთან, — იგონებს ნანა ინასარიძე, ახლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, — ჩვენ თვითონ მიგვქონდა მათან. „გაზაფხული“ მოვიდაო — ალერსით გვხვდებოდნენ განათლების სამინისტროს მუშაკები და მაშინვე გადაშლიდნენ ჩვენს გაზეთს.

საყვარელი პოეტი იოსებ გრიშაშვილი კარებში შემოგვეგებებოდა: „ჩემი მერცხლები შემოჭიკჭიკდნენო“.

ამ პატარა გაზეთმა ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა.

1961 წლის 18 ნოემბერს გაზეთმა დოცენტ ი. მაისურაძის წერილი გამოაქვეყნა. წერილის ავტორი პიონერებს მოუწოდებდა აღენუსხათ და შეესწავლათ თავიანთი კუთხის ესა თუ ის გეოგრაფიული სახელი, რასაც დიდი ეროვნულ-კულტურული მნიშვნელობა აქვს. დღეს უკვე პიონერთა სასახლის წიგნზე მუშაობის განყოფილებასთან შექმნილია ნორჩ ტოპონიმიკოსთა სადგური, მას საკუთარი ხელნაწერი ჟურნალიც აქვს („ფიალა“). ეს ჟურნალი სავსეა მდიდარი, საინტერესო მასალით. მოსწავლეთა სასწავლო შემოქმედებით რესპუბლიკურ კონფერენციას კი ნორჩ ტოპონიმიკოსთა სექცია შეემატა.

1959 წლის 17 მარტს „გაზაფხულმა“ დაბეჭდა წერილი „ხაზვა ტექნიკის ენაა“ და მოსწავლეებს მოუწოდა ჩაბმულიყვნენ იმ კონკურსში, ტრანსპორტის კაბინეტი რომ ატარებდა. ამ ღონისძიებამ უქმად არ ჩაიარა. პიონერთა სასახლეში ხაზვის კაბინეტი შეიქმნა.

მოსწავლე ნანული აბაშიძემ წერილი მოიტანა რედაქციაში, გოგონა გულისტკივილს გამოსთქვამდა ერთი მოსწავლის მიმართ, ეს ბიჭუნა ტროლეიბუსში თურმე ძალიან თავაზიანად მოჰქცევია ერთ მანდილოსანს, ადგილი დაუთმია, ბილეთი მიუწოდებია. ქალს მადლობა გადაუხდია და უკითხავს სახელი, გვარი, რომელ სკოლაში სწავლობო. მიხეილმა სახელი და სკოლა კი სწორად უთხრა, მაგრამ გვარი კი დამალა. ეს მაშინ გახდა ცნობილი, როცა ის მანდილოსანი მიხეილის სკოლას ეწვია.

„გაზაფხულმა“ ძიება გამოაცხადა; რედაქციის ნორჩი კორესპონდენტები საქმეს შეუდგნენ და სულ მალე გაზეთში გაჩნდა მედეა ფირცხალაშვილის წერილი: „მიხეილი ნაპოვნია“, შემდეგ თვითონ მიხეილიც მოიყვანეს რედაქციაში... პიონერებმა მიხეილს სინანულით უსაყვედურეს: შენ კარგ საქციელს, ჩრდილი რად მიაყენეო. მიხეილმა იგრძნო თავისი შეცდომა.

გაზეთის თაოსნობით ლაშქრობა მოეწყო. ლაშქრობის დევიზი იყო: „რაზმის ძალა მეგობრობაა“, სასახლის თითქმის ყველა წრე ჩაება ამ ლაშქრობაში.

„წრეში არც ერთი ჩამორჩენილი, არც ერთი უდისციპლინო“ — მოუწოდა გაზეთმა სასახლის პიონერებს და გაჩაღდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



იმისათვის, რომ გაზეთი ლამაზი გამოვიდეს, წერილები და ფოტოები გემოვნებით უნდა განლაგდეს. ამიტომ ჩაკაკირკიტებენ მაკეტს ნინა ხორბალაძე და აკაკი ქურდაძე.



მოსწავლე რედაქტორი თემურ გაბინაშვილი, კორესპონდენტები: მანანა ანასაშვილი, ზაზა კეკელიძე, დათო ბალაშვილი და თემურ კივილაძე სიყვარულით მუშაობენ გაზეთის მორიგ ნომერზე



სტამბის ხშირი სტუმრები არიან „გაზაფხულის" პირველი კორესპონდენტები. არშაკ ტერ-გალუსტოვი სიხარულით ხვდება ძველ მეგობრებს

ბრძოლა აკადემიური წარმატებისათვის, დისციპლინის განმტკიცებისათვის.

— ჩვენ გვინდა ისეთივე რედაქცია გვქონდეს, როგორიც დიდ გაზეთებს აქვს, გვქონდეს სხვადასხვა განყოფილებები, გვყავდეს რედაქტორი, რედაქტორის მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი და ლიტერატურული მუშაკები, — გამოთქვეს სურვილი პიონერებმა. მალე ეს სურვილიც საქმედ იქცა. პირველ რედაქტორად დაინიშნა მოსწავლე ედგარ სუხიშვილი. ედგარს მკაცრი და მახვილი თვალი ჰქონდა. ნაკლები მუყაითობა როდი გამოიჩინა მეორე რედაქტორმა, თემურ ბაბინაშვილმა! მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის კათედრასთან მეგობრობა დაამყარა. კათედრის გამგემ დ. გამეზარდაშვილმა ბევრი კარგი რჩევა-დარიგება მისცა ნორჩ ჟურნალისტებს.

— რა კარგი იქნება საკუთარი სტამბა რომ გვქონდეს — ხშირად ნატრობდნენ მანანა ანასაშვილი, დათო ბადაშვილი, ზაზა კეკელიძე, უშანგი ბეგიაშვილი, თემურ კივილაძე, გივი ხატიაშვილი და სხვები.

წლების მანძილზე „გაზაფხული" სხვაგან იბეჭდებოდა, ამით ბავშვებს ხელი ეშლებოდათ სასტამბო მუშაობის დაუფლებაში. მათ ძალიან იტაცებდათ საბეჭდი მანქანები. ამ სურვილმაც შეისხა ფრთა — პიონერთა სასახლეში სტამბაც დაარსდა.

პიონერებს ეხალისებათ სტამბაში კორექტურის კითხვა, ლინოტიპზე მუშაობა, საღებავშეუმშრალი ანაბეჭდის კითხვა, პირველი ფურცლების გადმოშრიალება... ნორჩ პოლიგრაფისტებს გულისყურით დასტრიალებს თავს ძია არშაკი. ეფიქრება გამოცდილ ოსტატს, შეცდომა არსად გაეპაროთ ბავშვებს.

ერთი პატარა გაზეთია „გაზაფხული", მაგრამ ნორჩი გულების ბევრ ნაფიქრს იტევს. რას არ შეხვდებით მის ფურცლებზე: პიონერულ ახალ ამბებს, კონკურსებს, დისპუტებს, ნორჩ ნატურალისტთა მიღწევების ამსახველ წერილებს, თვითშემოქმედების ნიმუშებს, ცნობებს ნორჩ მხარეთმცოდნეთა ახალ მონაპოვარზე, ექსპედიცია-ექსკურსიების მონაწილეთა შთაბეჭდილებებს, უფროსების რჩევა-დარიგებას, გასართობებს და სხვა მრავალს. პიონერთა სასახლეში თაობას თაობა სცვლის, ერთნი მიდიან, მეორენი მოდიან, „გაზაფხული" კი შრიალებს ყველას გულის გასახარად. იკინძება პიონერთა სასახლის მატიანე...

ანო კასრაძე

## ოქროს საწმისი

ლ. ვოვენარგი (მე-18 საუკუნის ფრანგი მწერალი): თუ სწორად მსჯელობა არ შეგვიძლია, მკვირცხლი გონება მცირე უპირატესობაა. საათის ღირსება ის კი არ არის, რომ გარბის, არამედ ის, რომ სწორად მუშაობს.

ლეონარდო და ვინჩი (მე-15 მე-16 საუკუნეების იტალიელი მხატვარი): სიბრძნე გამოცდილების შვილია.

ბ. პასკალი (მე-17 საუკუნის ფრანგი მათემატიკოსი, ფიზიკოსი და ფილოსოფოსი): რატომ არის, რომ ფიზიკურად კოჭლი კაცი არ გვაღიზიანებს, გონებრივად კოჭლი კი გვაღიზიანებს? ფიზიკურად კოჭლს შეგნებული აქვს, რომ ჩვენ სწორად დავდივართ, გონებრივად კოჭლი კი ამტკიცებს, რომ თვითონ კი არა, ჩვენ ვკოჭლობთ; ეს რომ ასე არ იყოს, ჩვენ მისდამი რისხვით კი არა, სიბრალულის გრძნობით განვიმსჭვალებოდით.

ა. პუშკინი: ჭკუამახვილობა ჯერ კიდევ არ ამტკიცებს დიდ ჭკუას. სულელები და შეშლილებიც კი საოცრად ჭკუამახვილები არიან ხოლმე.

საადი (მე-13 საუკუნის ირანელი პოეტი): ბრძენი თუ სულელებთან მოხვდა, მათგან პატივისცემას ნუ ელის; ხოლო თუ სულელი თავისი უზედობით ბრძენს დაამარცხებს, არც ეს არის გასაკვირი, რადგან ქვით შეიძლება ალმასის გაპობა.

სტენდალი (მე-19 საუკუნის ფრანგი მწერალი): ჭკუის მოქნილობას შეუძლია სილამაზის მაგივრობა გასწიოს.

ლ. ტოლსტოი: არ იფიქრო, სიბრძნე თითქოს მხოლოდ განსაკუთრებულ ადამიანთა თვისება იყოს. სიბრძნე აუცილებელია ყველა ადამიანისათვის და ამიტომ ყველა ადამიანს აქვს კიდეც. სიბრძნე ის არის, რომ იცოდე შენი დანიშნულება და მისი შესრულების საშუალებები.

ა. ფრანსი (მე-19-მე-20 საუკუნის ფრანგი მწერალი): გონება, მაშინაც კი, როცა მას ავიწროებენ და უგულვებელყოფენ, საბოლოოდ ყოველთვის იმარჯვებს, რადგან უიმისოდ ცხოვრება შეუძლებელია.

ი. ჭავჭავაძე: გონიერი კაცი იგივე წიგნია.

ჰოლბახი (მე-18 საუკუნის ფრანგი ფილოსოფოსი): გონება შეიძლება შევადაროთ გამჭრიახ მხედველობას, რომელიც სწრაფად ამჩნევს ყველაფერს. გენია ისეთი მხედველობაა, ვრცელი ჰორიზონტის ყველა წერტილს ერთი თვალის გადავლებით რომ აღიქვამს; საღი გონება ისეთი გონებაა, რომელიც საგნებსა და მათს ურთიერთ დამოკიდებულებას ისე ამჩნევს, როგორც ეს სინამდვილეში არის; აბნეული გონება კი ისეთი გონებაა, რომელიც მხოლოდ არასწორ დამოკიდებულებებს ამჩნევს...

## ახალი წიგნები

### ოქროს საბლით მოზომილი

ალექსანდრა ჩხენკელი

ჩვენი მოძმე რესპუბლიკის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობს საინგილო. ერთმანეთის გვერდით მეგობრულად ცხოვრობენ აზერბაიჯანელები და ქართველები. მწერალმა ქალმა ალექსანდრა ჩხენკელმა თავისი ახალი წიგნი — „ოქროს საბლით მოზომილი“ სწორედ ამ ლამაზი მხარის ისტორიას, მის დღევანდელ ყოფას მიუძღვნა.

### წითელი ყელსახვევები დოლარის ქვეყანაში

ჰ. აიზმანი

ამ წიგნის ავტორმა ჰარი აიზმანმა, ყოფილმა ამერიკელმა პიონერმა ბავშვობაში გაიცნო და გამოსცადა ბურჟუაზიული დემოკრატიის „მშვენიერებანი“.

ჰარიმ ცხოვრების მკაცრ გამოცდას გაუძლო. გაიარა ნამდვილი რევოლუციური სკოლა. ამერიკის საპყრობილედან იგი დაიხსნა რევოლუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციამ.

მას შემდეგ ოცდაათ წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ აიზმანის მოგონებანი ცოცხლად და საინტერესოდ წარმოგვიდგენს მაშინდელ ამერიკას. იმ დროის მოვლენები კი არსებითად ჩვენ დღევანდელობას ეხმაურება; მშრომელთა ჩაგვრა და ექსპლოატაცია ხომ სრულიად არ შეცვლილა ბურჟუაზიულ სამყაროში!

ამ წიგნს რომ წაიკითხავთ ყველას ერთი დიდი სურვილი გაგიჩნდებათ: ძალ-ღონის დაუზოგავად იბრძოლოთ მთელ მსოფლიოში მშრომელთა გამარჯვებისათვის. საბჭოთა პიონერებმა ყოველნაირად უნდა განამტკიცონ ინტერნაციონალური მეგობრობა მთელი მსოფლიოს ბავშვთა შორის, დაეხმარონ მათ თავისუფლებასა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში, ფრიადზე ისწავლონ და იყვნენ სამაგალითონი, გულწრფელნი, სიმართლის დამცველნი, ამხანაგებისათვის თავდადებულნი, როგორც ნორჩ ლენინელს შეეფერება.






ეროვნული
ბიბლიოთეკა



## ნობელის პრემიები

შვედი ქიმიკოსისა და მრეწველის, დინამიტის გამომგონებლის — ალფრედ ნობელის (1833-1896) სახელობის პრემიის მინიჭება ყოველწლიურად ხდება, მის მიერ დატოვებულ კაპიტალის პროცენტებიდან. წელიწადში ხუთ პრემიას ანიჭებენ: ერთს — მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის, სამს — დიდი მეცნიერული აღმოჩენისათვის, ერთსაც — დიდმნიშვნელოვანი ლიტერატურული ნაწარმოების შექმნისათვის. პრემიის მოცულობა დღეისათვის 85 ათასი დოლარია. პრემია შეიძლება მიენიჭოს ყველა ქვეყნის მოქალაქეს, ოღონდ, ჯერჯერობით სიკვდილის შემდეგ ეს პრემია არავისთვის არ მიუნიჭებიათ.

ნობელის პრემია მიღებული აქვთ: ეინშტეინს, ფლემინგს, ბორს, კიურის, კინგს... ჩვენს მეცნიერთაგან: ი. პავლოვს — 1904 წელს; ი. მეჩნიკოვს — 1908 წელს; ნ. სემიონოვს—1956 წელს; პ. ჩერნიკოვს, ი. ფრანკს, ნ. ტამს — 1958 წელს; ლ. ლანდაუს — 1962 წელს; ბასოვსა და პროხოროვს — 1964 წელს. 1965 წელს ნობელის პრემია მიენიჭა გამოჩენილ საბჭოთა მწერალს ნიკოლოზ შოლოხოვს.

## დღევანდელი ქალაქები 1868 წელს

1868 წლის ერთ-ერთ კალენდარში მოყვანილია მაშინდელ რუსეთში შემავალი ქალაქების მოსახლეობის რაოდენობა. რათა ნათლად წარმოვიდგინოთ ამ ასი წლის მანძილზე ჩვენი ქალაქების კოლოსალური ზრდა, შევადაროთ ერთმანეთს 1868 წლისა და 1966 წლის მონაცემები.

1868 წელს ალმა-ათაში ცხოვრობდა — 6,2 ათასი ადამიანი, 1966 წელს — 640 ათასი; არხანგელსკში — 19,7—308; ბაქოში — 13,4—1175; ვილნიუსში — 78,9—309; დნეპროპეტროვსკში— 41,4—592; ერევანში — 14,2 — 652; ზაპოროჟიეში — 4,4—471; კაუნასში — 31,6—276; კიევში — 68,4—1333; კიშინიოვში — 94,1 —293; კრასნოიარსკში — 10.0— 557; ლენინგრადში — 539—3665; მინსკში — 24,3—749; მოსკოვში — 368,1—6482; რიგაში —102,0 —669; დონის როსტოვში — 39,0 739; ტალინში — 29,4—335; თბილისში — 60,8—830; ხარკოვში — 52,1—1092; ჩელიაბინსკში — 5,9—820.

## შავი ლაქა ბიოგრაფიაში

თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი სწავლული ჯონ ბერნალი, პოლიტიკური მრწამსით, მარქსისტია. ეს ამბავი ერთი სასაცილო შემთხვევის საბაბად გადაიქცა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ჯ. ბერნალი მეცნიერთა დიდ ჯგუფს ხელმძღვანელობდა და მკაცრი საიდუმლოებით მოცულ ატმოსფეროში მუშაობდა. ერთხელ მან მოითხოვა ეპოვნათ და სამუშაოდ მოეწვიათ მეცნიერი, რომელსაც ჯერ კიდევ ომამდე იცნობდა. ადმინისტრაციამ რაღაც მოსაზრებათა გამო ეს კანდიდატურა უარყო. როგორც გამოირკვა, მოწვეული მეცნიერის ბიოგრაფიას შავ ლაქად აჩნდა — „დიდ კომუნისტთან“ კავშირი. მხოლოდ ჯ. ბერნალის მკაცრი დაჟინების შემდეგ გამოირკვა, რომ ეს კომუნისტი იყო... თვითონ ჯონ ბერნალი!

მონეტები. შესაძლოა შენ მარკებისა და ღია ბარათების, კოლექციონირება კი არ გიტაცებს, არამედ — მონეტებისა. მონეტებიც, ისევე, როგორც მარკები, იმ ქვეყანას ასახავს, სადაც მოჭრილია. მათ მიხედვით შეიძლება განსაზღვრო რა სახელმწიფოებრივი წყობაა ამა თუ იმ სახელმწიფოში, რა ფულადი სისტემა. მონეტების შეგროვებისას ბევრი საინტერესო რამის გაგება შეგიძლია სხვადასხვა ქვეყანაზე. შეგიძლია შეისწავლო მათი ისტორია, ეკონომიკა, კულტურა. მონეტების შემსწავლელ მეცნიერებას ნუმიზმატიკა ეწოდება, მონეტების კოლექციას კი — ნუმიზმატიკური კოლექცია.

ძალიან საინტერესოა სამამულო ლითონის ფულის შეგროვება.

აბა, შეადარე ახლანდელი 10, 15, 20 კაპიკიანი ანდა მანეთიანი იმათ, რომლებიც მოჭრილი იყო 1922, 1924, 1932, 1935 და 1946 წლებში. გამოსახულებაც შეიცვალა, ლითონიც, რომლისგანაც ფულებია მოჭრილი, სიდიდეც. შეიძლება შენ არც იცოდე, როგორი იყო ლითონის პირველი საბჭოთა ფული, რომელიც ჯერ კიდევ რსფსრ-მ გამოუშვა.

ზოგიერთი ბავშვი მარტო თანამედროვე ფულის ნიმუშთა შეგროვებით კი არ არის გატაცებული, არამედ — ძველებური, რუსეთის იმპერიის დროს და უფრო ადრე მოჭრილი ფულების შეგროვებითაც. სწორად გაფორმებული ნუმიზმატიკური კოლექცია შესანიშნავი დამხმარე საშუალებაა ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესასწავლად.

დასაწყისში ბავშვები ჩვეულებრივ ყველა მონეტას ერთად ჩაჰყრიან ხოლმე,



## ყოვლისშემძლე რეკლამა

მყიდველთა გემოვნების გამოცნობა ყოველთვის როდი ხერხდება... იტალიაში ერთმა ავეჯის ფირმამ ახალი ტიპის საწოლები გამოუშვა. ეტყობა, კონსტრუქტორები რაღაცაში შეცდნენ: მყიდველებს ეს საწოლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისგანაც ეს მონეტები ძალიან მალე ფუჭდება: ნაფხაჭნები უჩნდება, თანდათანობით იშლება გამოსახულება, ვერცხლის ფული კი შავდება. ამას გარდა ერთი მონეტის მოძებნა რომ გინდოდეს, მთელი ყუთი უნდა გადმოაჴროთო.

მონეტები ისე უნდა შეინახო, რომ ყველა მათგანი თვალსაჩინო ადგილზე იყოს. ამას ღიად შენახვის წესი ჰქვია. ეს ძალიან ადვილია: მუყაოს ან ფირფიცრის ნაჭერს (ყველას სჯობს 18×24 სანტიმეტრის ზომისა) გარშემო შემოაწებე მუყაოს კიდეები. მიიღებ ერთ მთლიან ყუთს, რომელსაც 3-4 სანტიმეტრის კიდეები ექნება. შიგნით პარალელურ რიგებად ჯვარედინად დააწებე მუყაოს ზოლები დაახლოებით 4-5 სანტიმეტრის სიგანისა. ამ ზოლების ურთიერთგადაკვეთაზე მიიღებ პატარა კვადრატულ უჯრედებს, რომელშიც მონეტები უნდა ჩააწყო. ეს ზოლები შეიძლება მუყაოსიც იყოს, თუ მთავარი ფიცარი ხისაა. ასეთ მოწყობილობას პლანშეტი ჰქვია. ეს პლანშეტები შეგიძლია ერთი მეორეზე დააწყო და ისე შეინახო სპეციალურ ყუთში.

ზოგიერთი კოლექციონერი მონეტებს რბილი თუნუქისაგან გაკეთებულ პლანშეტებში აწყობს. ამისათვის კონსერვის ქილებს იყენებენ. ასეთ უჯრედებში მონეტის ჩადების წინ აუცილებლად ქაღალდი უნდა ჩაჰფინო.

დაბოლოს, შეგიძლია მონეტები უსეში ძაფით ჯვარედინად დაამაგრო სქელ ქაღალდზე, მაგრამ, ამ შემთხვევაში, მონეტის მხოლოდ ერთი მხარე ჩანს, რაც არც თუ ისე სასურველია.

შენახვის როგორი წესიც არ უნდა

დამწყებ კოლექციონერს



## ნუმიზმატიკა

აირჩიო, ერთი აუცილებლად უნდა გახსოვდეს: ყოველი მონეტის გვერდით ქაღალდი უნდა დააკრა, ქაღალდზე აღნიშნული უნდა იყოს მონეტის ღირებულება, მოჭრის ადგილი და დრო (მაგალითად: „პოლონეთი, 1 ზლოტი, 1949 წ."). მონეტები სახელმწიფოების, ღირებულებისა და მოჭრის ვადის მიხედვით უნდა განალაგო. ყველა ქვეყნის ყველა მონეტას, ცხადია, ვერ შეაგროვებ, მაგრამ შეგიძლია რომელიმე ქვეყნის ან კონტინენტის გარკვეული დროის მანძილზე მოჭრილი მონეტების შეგროვება. ვთქვათ, შეაგროვე სახალხო უნგრეთის მონეტები 1945 წლიდან, ანდა აფრიკის განთავისუფლებული ქვეყნების მონეტები.

ახლა მოგცემთ რამდენიმე რჩევას, როგორ უნდა გაწმინდოთ მონეტები. ამისათვის არამც და არამც არ უნდა იხმაროთ ცარცი, კირი, ანდა რომელიმე სიმჟავე. ამათგან მონეტები ფუჭდება, გამოსახულება და წარწერები იშლება.

გაშავებული ვერცხლის ფულის გასაწმენდად ყველაფერს ნიშადურის სპირტის ჩვეულებრივი ხსნარი აჯობებს. სპილენძისა და ბრინჯაოს ფული კი ძმარში უნდა გაირეცხოს. გარეცხვის შემდეგ დარჩენილი მსუბუქი ნადები ნუ შეგაშინებთ, ის რამდენიმე საათში გაქრება.

როგორც გითხარით, კოლექცია საუკეთესო დამხარე საშუალებაა ისტორიის შესასწავლად. ამიტომ, თუ თქვენს კლასში ან სკოლაში რამდენიმე ბავშვია გატაცებული მონეტების შეგროვებით, მოილაპარაკეთ და მოაწყეთ რაზმის ანდა სკოლის ნუმიზმატიკური მუზეუმი. ეს საუკეთესო საჩუქარი იქნება, როგორც რაზმისთვის ასევე მთელი რაზმეულისთვის.

---

არ მოეწონათ. ფირმა თითქმის გაკოტრების წინაშე აღმოჩნდა. იგი მოულოდნელად ერთმა რეკლამის აგენტმა იხსნა. მან გაზეთებში ასეთი განცხადება მოათავსა: „თქვენსას სტუმრები სამ დღესაც კი არ დარჩებიან, თუ მათ ახალი კონსტრუქციის საწოლებში დააწვენთ". ერთი კვირის შემდეგ ყველა საწოლი გაყიდული იყო.

### საქმე სულის არსებობის თაობაზე

არიზონის შტატის (აშშ) უმაღლესი სასამართლოს სესიებზე უკვე რამდენჯერმე მოისმინეს კურიოზული საქმე: „სულის არსებობის მტკიცება". საქმე ის არის, რომ ვინმე ჯეიმს კიდმა 1951 წელს ორასი ათასი დოლარი უანდერძა იმას, ვინც დაამტკიცებს, რომ სული არსებობს და ადამიანის სიკვდილის შემდეგ მის სხეულს განეშორება. ნაანდერძევი თანხის დაპატრონების სურვილი ბევრს აღმოაჩნდა, მაგრამ სულის არსებობის დამამტკიცებელი მეცნიერული საბუთები, ბუნებრივია, აქამდე ვერავინ ვერ წარმოადგინა. სასამართლო ყველა პრეტენდენტს პირში ჩალაგამოვლებულს ისტუმრებს.

### გამდიდრება და გულის დამბლა

ბრაზილიელმა გლეხმა ხოაომ თავისი უკანასკნელი ფულით ლატარიის ბილეთი იყიდა და გათამაშებაზე დასასწრებლად ქალაქში ჩავიდა. როცა გამოაცხადეს, რომ მისმა ბილეთმა ასი ათასი კრუზეირო მოიგო, ხოაოს გული წაუვიდა. ატყდა ერთი ალიაქოთი. ამით ისარგებლა ვიღაცამ და გულშეღონებულ გლეხს ბედნიერი ბილეთი თავისი ბილეთით შეუცვალა. მალე ხოაო გონს მოვიდა. მაგრამ მას ახალი „დარტყმა" ელოდა. ცოტა ხნის მერე გამოაცხადეს, რომ მის ახალ, შეცვლილ ბილეთს 15 მილიონი კრუზეიროს მოგება ხვდა. ამ მოულოდნელმა სიხარულმა „ახალგამომცხვარ" მილიონერზე ისე იმოქმედა, რომ მას იქვე გულის დამბლა მოუვიდა.



# ჩვენი ფრთოსნი





# მეგობრები

საქართველოში მრავალი სახეობის ფრინველი ბინადრობს მუდმივად. ჩვენი განთქმული ხოხობი, დურაჯი, კაკაბი და გნოლი, მთებსა და ჭიუხებში მობინადრე როჭო და შურთხი, მრავალი სახეობის გარეული იხვი, თეთრი ყანჩა, ჩხიკვი, კაჭკაჭი, ნიბლია, ჩიტბატონა და სხვა მრავალი ბეღურასნაირი, წლის ყოველ დროს შეიძლება შეგვხვდეს. მაგრამ გაზაფხულზე, როცა საზამთროდ გახიზნული ფრთოსნები — მერცხლები, ნამგალები, მოლაღურები ბულბულები, ასპუჭაკები და ბევრი სხვა, თავიანთ სამშობლოს — ბუდობის ადგილებს უბრუნდებიან, კიდევ უფრო მეტი გამოცოცხლება შეაქვთ ბუნებაში, გვატკბობენ სილამაზითა და გალობით.

მაგრამ ფრინველებს მარტო ესთეტიკური მნიშვნელობა როდი აქვს. როგორც გამოკვლევები გვიჩვენებს, ბუნებაში ფრინველების როლი გაცილებით დიდია. ჩვენი ფრინველების უმრავლესობას, ამა თუ იმ გზით, დიდი სარგებლობა მოაქვს ადამიანისათვის.

ცნობილია, რომ ჩვენს ტყეებს, ბაღებსა და ბოსტნებს მრავალი მტერი ჰყავს. აი, თუნდაც, მავნე მწერები და თაგვისებრი მღრღნელები! ისინი დიდ ზარალს აყენებენ სოფლის მეურნეობას, მაგრამ მწერიჭამია ფრინველები: წივწივები, წიწკანები, ნარჩიტები, კოდალები, სანეგოგები, მგლინავები, წყალწყალები, ბულბულები, ასპუჭაკები, ბოლოცეცხლები და სხვები, ბაღებსა და ბოსტნებში, ტყებსა და პლანტაციებში ანადგურებენ სოფლის მეურნეობისათვის მავნე მწერებს და ამით იცავენ მათ განადგურებისაგან. მრავალი მტაცებელი ფრინველი — კირკიტა, კაკაჩა, ველის არწივი, ჩია არწივი, ველისა და მდელოს ბოლობეჭედები, აგრეთვე ბუ, ბუკიოტი, ბუკნაჭოტი და სხვები უმთავრესად მარცვლოვანი კულტურებისათვის უაღრესად მავნე თაგვისებრი მღრღნელებით იკვებებიან.

მარტივი გამოანგარიშებაც კი აშკარად გვიჩვენებს, თუ რამდენად სასარგებლოა, მაგალითად, დიდი თეთრი ყანჩა. ეს ფრინველი ყოველდღიურად 10-მდე ეგრეთწოდებულ საზოგადოებრივ მემინდვრიას სპობს. თითო მემინდვრიას დღიური რაციონი 25 გრამი ხორბალია. ამგვარად, ერთი დიდი თეთრი ყანჩა დღეში 250 გრ. ხორბალს იცავს, რაც ორი თვის განმავლობაში 15 კილოგრამს შეადგენს. 100 ფრინველის მიერ მოტანილი სარგებლობა 1,5 ტონა ხორბალი იქნება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ შემთხვევაში ეცემა მემინდვრიას გამრავლების ინტენსიობაც, ადვილი წარმოსადგენია დიდი თეთრი ყანჩის სარგებლობა, მსგავსი მაგალითები ბევრია. სასარგებლო ფრინველი მრავალია, მაგრამ ისეთი ფრინველებიც არიან, რომლებსაც, ამა თუ იმ ადგილას, ზოგჯერ ზიანი მოაქვთ. მაგალითად, კვირიონი მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მეფუტკრეობას, მით უფრო თუ კვირიონის გუნდები მრავალრიცხოვანია. გარკვეული ზიანი მოაქვს ხორბლეული კულტურებისათვის ბეღურასაც, თუ იგი მასობრივად არის გამრავლებული. ჭაობის ბოლობეჭედა თავს ესხმის სასარგებლო ფრინველებს და ამიტომ მავნებლად ითვლება. საბედნიეროდ, ზიანის მომტანი ფრინველები ბევრი არ არიან.



თეთრი ყანჩა

ფრინველის სარგებლიანობის ან მავნებლობის განსაზღვრისათვის საჭიროა ამ ფრინველის შესწავლა. უნდა განისაზღვროს მისი საკვების შედგენილობა დროისა და ადგილის მიხედვით, უნდა გამოირკვეს საკვების შედგენილობა რაოდენობის მხრივაც (რომელს სპობს უფრო მეტს, ადამიანისათვის სასარგებლო თუ მავნებელ ცხოველებს). მაგალითად, კაჭკაჭი ზოგჯერ ანადგურებს სასარგებლო ფრინველების კვერცხებსა და ბარტყებს, მაგრამ, საერთოდ, ამ ფრინველის საკვების სამ მეოთხედზე მეტს მავნე მწერები შეადგენს, რითაც მას გაცილებით მეტი სარგებლობა მოაქვს, ვიდრე — ზიანი. იგივე შეიძლება ითქვას ჩხიკვსა, ყვავსა და ზოგიერთ სხვა ფრინველზე.

გარდა ამისა, მრავალ ფრინველს, დიდი სპორტული, ე. ი. სანადირო და სარეწაო მნიშვნელობა აქვს. ჩვენს რესპუბლიკაში, ამ მხრივ, უპირველესად უნდა აღინიშნოს ქათმისნაირი ფრინველები: ხოხობი, კაკაბი, დურაჯი, გნოლი, შურთხი, როჭო და მწყერი. მათ დაცვასა და მომრავლებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ამისათვის მრავალი ნაკრძალია შექმნილი. ჩვენს ტბებზე, მდინარეებსა და წყალსაცავებზე შეხვდებით წყალმცურავ ფრინველებს: გარეულ იხვებს, ბატებს, მელოტას, წყლის ქათამს და სხვას, რომლებიც



შაშვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეთვე დიდად ფასდება სპორტული თვალსაზრისით.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ბევრი მტაცებელი ფრინველი სასარგებლოა — ისინი მავნე მღრღნელებს ანადგურებენ, მაგრამ მტაცებელ ფრინველთა შორის ისეთნიც არიან, რომლებიც თავს ესხმიან სასარგებლო ფრინველებს. მათს რიცხვში შეიძლება დავასახელოთ მიმინო, ქორი, შავარდენი და სხვა. რა თქმა უნდა, თუ ეს ფრინველები მეტისმეტად მრავალრიცხოვანია, დიდი ზიანის მოტანა შეუძლიათ, მაგრამ ისინი ჩვენში ახლა ცოტაა. ამასთან, მათი ერთი მეტად თავისებური, დადებითი მნიშვნელობის გათვალისწინება აუცილებელია. საქმე ის არის, რომ მტაცებელ ფრინველთა მსხვერპლი უპირველესად,



გუგული

ავადმყოფი და სუსტი ფრინველები ხდებიან, ძლიერი და ჯანსაღი ინდივიდები კი, ასე რომ ვთქვათ, მწარმოებლებად რჩებიან, რომლებიც ძლიერსა და ჯანსაღ თაობებს იძლევიან. ეს ის პროცესია, რომელსაც ჩარლზ დარვინმა ბუნებრივი შერჩევა უწოდა. იგი ჩვენთვის ერთბაშად შეუმჩნეველია, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს ევოლუციურ პროცესში.

სამწუხაროდ, ჩვენში, ზოგჯერ, მტაცებელ ფრინველს მავნებელთან აიგივებენ და განურჩევლად ხოცავენ ხოლმე ყველას, რომლებიც კი ქორისა და ძერის მსგავსია.

ასეთია, მოკლედ, ფრინველების მნიშვნელობა ბუნებაში. ამიტომ არის, რომ ჩვენი ბუნების, კერძოდ, სასარგებლო ფრინველთა დაცვას პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ, ამ საქმეში პიონერებს ბევრის გაკეთება შეგიძლიათ, ოღონდ, საჭიროა კარგად შეისწავლოთ მშობლიური ბუნება, მისი ორნითოფაუნა (ფრინველთა სამყარო) შეიყვაროთ და დაიცვათ განადგურებისაგან ჩვენი ფრთოსანი მეგობრები.

**მირონის კუტუბიძე,**
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ორნითოლოგი.

# ? თავშესაქცევი

## კ რ ო ს ვ ო რ დ ი

1. ხის რკალზე, ცალ მხარეს ტყავგადაკრული საკრავი; 2. საომარი მანქანა; 3. ქალის პირსაბური, მუსულმანურ ქვეყნებში; 4. ზღვა საბჭოთა კავშირში; 5. ურმის მსგავსი, თვლებიანი მომცრო საზიდარი; 6. ფეხსახსრიანი შხამიანი მწერი; 7. უდედმამო, ანუ? 8. ოდნავ ცივი, ნელცივი; 9. გეზად, გვერდულად გავლებული ხაზი; 10. ცოცხალი ორგანიზმის არსებობისათვის ერთ-ერთი აუცილებელი ნივთიერება; 11. თიხამიწა, ანუ? 12. კახეთის ერთ-ერთი სოფელი; 13. მრავალწლოვანი მცენარე, ისხამს წვრილ, შავ ნაყოფს; 14. მოხერხება, სიმარჯვე, შნო, ანუ? 15. სსრკ-ის ევროპულ ნაწილში მდებარე ტბა; 16. ფილმის ერთ-ერთი სცენა, ეპიზოდი.




## ო ც ი ბ უ რ თ ი

ამ ოცი ბურთიდან იპოვეთ ორი სავსებით ერთნაირი ბურთი.



### პასუხი № 5-ში მოთავსებულ თავშესაქცევზე

### კროსვორდი

1. ბარნოვი; 2. სამარხი; 3. პუშკინი; 4. ბურნათი; 5. მერკური; 6. ბესკოვი; 7. ფლანელი; 8. ფლაკონი; 9. ონავარი; 10. ანანური; 11. კუშნირი; 12. სურვილი; 13. კურორტი: 14. ტურნირი; 15. მოურავი; 16. ლომოური; 17. კრიტიკა; 18. არარატი; 19. კოლაფსი; 20. პოლტავა; 21. ვორკუტა; 22. მოზაიკა; 23. ტაჩანკა; 24. კარკასი; 25. ბურუნდი; 26. კურანტი; 27. ჩარდახი; 28. მაზურკა; 29. მუყაითი; 30. ზუგდიდი.



ლაშქრობის დროს თუ წვიმა წამოგეწიათ, ცეცხლის გაჩაღება გაგიჭირდებათ. ამიტომ, ამაოდ რომ არ იწვალოთ, აიღეთ კონსერვის ქილა, შიგ ქონში ამოსვრილი ქაღალდები ჩატენეთ, ზემოდან ფიჩხი წააფარეთ და ცეცხლი ასე დაანთეთ.

გამოცდილმა ტურისტებმა ეს იციან, მაგრამ იმათ, ვინც პირველად მიდის ლაშქრობაში, არ აწყენდათ იმის დახსომება, რომ სალაშქროდ გასვლამდე ასანთის ღერები გამდნარ სანთელში ან პარაფინში უნდა ამოავლონ. ამ უმნიშვნელო ოპერაციის შემდეგ ასანთს ვეღარც სინესტე ვნებს და ვეღარც წვიმა.

ცეცხლზე განახურები ორი ერთნაირი ლითონის ფული (უკეთესია შაურიანები) და ასანთის ღერო, ლაშქრობის დროს შესანიშნავად სცვლის პინცეტს (განსაკუთრებით კანში შესობილი ხიწვის ამოსაღებად.).

თუ როგორ უნდა შეაერთოთ ორი მილი, ამისათვის ნუ იტეხთ თავს, მილებს მავთული შემოახვიეთ (როგორც ეს ნახატზეა ნაჩვენები) და შემდეგ დარჩილეთ. მილები საიმედოდ მიემაგრება ერთმანეთს.

ფიჩხის ან ჯარჯის დასაჭრელად ეს მარტივი მოწყობილობა უებარი საშუალებაა, იოლი გასაკეთებელია და წელიწადში ორჯერსამჯერ მეტად რომ არც დაგჭირდეთ, მაინც ძალზე კმაყოფილი იქნებით.

ავდარში ან ქარიან ამინდში ქარი ხშირად ერთი მხრიდან უბერავს ხოლმე. კოცონი რომ არ ჩაგიქრეთ, ბრეზენტი გაჭიმეთ და, თქვენს ადგილსამყოფელს, როგორც სურათზეა ნაჩვენები, ისე ჩამოაფარეთ.









# სარჩევი


ნორჩი ტალანტების ზეიმი . . . 1 გვ
ა. იმედაშვილი — საქართველოს კომკავშირი აღდგენით პერიოდში (წერილი) . . . . . 3
კ. ტაბატაძე — გულთაჩი, მოდელი და მეგობრები (მოთხრობა) . . 5
ა. ვოლსკაია — XVIII-XIX საუკუნის რუსული ქანდაკება (წერილი) . 11
ნ. კეცხოველი — იკითხეთ ბუნების წიგნი (წერილი) . . . . . . 14
გუნთერ ფოისტელი — მედალიონი (მოთხრობა, გერმანულიდან თარგმნა თ. ღლონტმა) . . . 16
ს. შამფრიანი — და ახლა... (ლექსი) . . . . 19
შკოე ჰასანი — კატა-თაგვობანა (იგავი, თარგმნა გ. კაკაბაძემ) . . . . 19
მოსწავლეთა შემოქმედება . . . 20
ა. კასრაძე — გაზაფხული ათი წლისაა (წერილი) . 25
ოქროს საწმისი . 27
ახალი წიგნები . 27
საინტერესო თემაზე . . . . . . 28
დამწყები კოლექციონერის დასახმარებლად . . . 29
ჯადოსნური სარკე . . . . . . . 29
მ. კუტუბიძე — ჩვენი ფრთოსანი მეგობრები (წერილი) . . . . . 30
თავშესაქცევი . 31
გამოგადგები . 32



გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის რევაზ ცუცქირიძეს

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.
სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.).

ჩვენი მისამართი:
თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები:
რედაქტორის—95-17-76
პ/მგ. მდივნისა და
განყოფილებების—95-07-43

„ПИОНЕРИ", На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
საქ. კპ ცკის გამომცემლობა უე 03712 ტირ. 87.750. ქაღ. ფორ. რაოდ. 4½, ფიზ. ფორ. რაოდ. 2
ხელმოწერ. დასაბ. 16/V-68 წ. სტამბის შეკვ. 1751.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ფასი 20 კაპიკი

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ.